



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბინდ ბუქ-
უბი სიფყავა, ცუდილუბით და ჭბრბით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯარბისბაზუ უსაბაგლუსია.

გაგონის 1918 წლის
25 ივლისიდან

რეპსპუბლიკა

ოთხშაბათი, 15 სექტემბერი. 2021 წ. №175 (9294) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

თეიბურაზ ჯანელიძე:



ღია წერილი საქართველოს
საქველმოქმედო ფონდ
„ქართუს“ დაფუძნებელს,
საქართველოს ყოფილ
პრემიერ-მინისტრს,
ბაზონ ბიძინა ივანიშვილს

5

„ქართული ოცნების“ ყრუ კედელი

ავთანდილ არაბული:

ორიოდე სიტყვა კახა კალაძისათვის და ზოგიც - „ქართული ოცნებისათვის“



„ქარბი ჩვენს
მოგვეწონება,
ცუდი
არც თავის
დედასა“... 3

ბურამ ბუნაძე:

ნუ დაპიპინებთ ლენტესს, საფისარს!



6 7

მთავრობასა და ეკლესიას შორის არის ძლიერი და მტკიცე ერთობა!

ძალიან კარგად გვესმის
ზრდასრულ ადამიანებს, თუ
ვის ინტერესებში შედის ეს
ძალიან მძიმე პროვოკაცია, -
ამის შესახებ განაცხადა სა-
ქართველოს პრემიერ-მინისტრმა
ირაკლი ლარიბაშვილმა, რომელსაც
ჟურნალისტებმა შეკითხვა დაუსვეს,
თუ ვისი პოლიტიკური ინტერესი იყო
ჩანაწერების გამოქვეყნება.

ამასთან, ჟურნალისტებმა
ლარიბაშვილს შეკითხეს, არის
თუ არა ეს ჩანაწერები გახა-
რია-ხოჯევანიშვილის ინტერ-
ესებში...

„საკავშილო დაგავიწყდათ.
საკავშილოთ ინყება. წარმო-
იდგინეთ, ერთი მხრივ, გამოდი-
ან ეს ადამიანები, ავრცელებენ
ამ ჭორ-მართალს, ტყუილ-მარ-
თალს და ყველაფერს ერთად,
ამ სიტყუეს; მეორე მხრივ,
თითქოს განიცდიან და თით-
ქოს, ასე ვთქვათ, სოლიდარო-

ბას გამოსატყვევებელი და
მღვდელმთავრების მიმართ. ეს
ხომ არის ძალიან დიდი სიც-
რუე და ძალიან დიდი ფარი-
სელობა. ეს არის მტრობა -
პირდაპირ დაგვარქვით ყველა-
ფერს თავისი სახელი. როგორ
შეიძლება, რომ ყველაფერი,
ყველა ზღვარი გადაკვეთოს
ადამიანმა, ყველაფერი იკად-
როს. ვნახეთ სააკაშვილის ხელ-
წერა, მათი საქმენი და ამის
შემდეგაც, კვლავაც გაოცებუ-
ლი ვართ ყველანი - ყველა-
ფერზე მიდიან ეს ადამიანები.
გუშინ რაც გააკეთეს, ამით და-
დასტურდა, რომ ეს ადამიანები
ყველაფერზე არიან წამსვლე-
ლები, ყველა სიბინძურეზე, ყვე-
ლა ანტისახელმწიფოებრივ
მტრობაზე... ეს არის პირდა-
პირ ეკლესიის მტრობა და სა-
ხელმწიფოს მტრობა!

მეგობრებო, თქვენი ტელე-
ვიზია აკეთებს ამას, „ტვ პირ-

ველი“ და თქვენ, ყველანი, თქვე-
ნი ტელევიზიები და თქვენი
მმართველი სააკაშვილი“, - მი-
მართა პრემიერმა ჟურნალის-
ტებს.

ირაკლი ლარიბაშვილის
შეფასებით, პირდაპირი შეთ-
ქმულებაა ეკლესიის წინააღ-
მდეგ.

„მე ერთს ვიტყვი მხოლოდ,
ჩემი პირადი შეფასებაა - დღეს
არის პირდაპირი შეთქმულება
ეკლესიის წინააღმდეგ, სახელმ-
წიფოს წინააღმდეგ და უსუსური
მცდელობა, თითქოს რაღაც გა-
უგებრობა მოხდეს მთავრობასა
და ეკლესიას შორის. ერთი მი-
ნდა, ვთქვა - დღეს, ისე, როგორც
არასდროს, არსებობს ძალიან
ძლიერი და მტკიცე ერთობა
მთავრობასა და ეკლესიას შო-
რის, ეს ასე იქნება ყოველთვის.

რაც შეეხება ვერსიებს, თქვენ
ასხენეთ გვარები, მე აღარ მი-
ნდა, გავიმეორო მოლაღატეების
გვარები. ერთს გეტყვით, რომ
პროკურატურამ დაიწყო გა-
მოძიება და პროკურატურა ყვე-
ლა ვერსიას დაამუშავებს. არ-
ჩვენების შემდეგ ყველას და ყვე-
ლაფერს დაერქმევა თავისი სა-
ხელი. ყველა მოლაღატე და ყვე-
ლა ამ ბინძური შეთქმულების
ავტორი და თანამონაწილე და-
ისჯება სამაგალითოდ“...

ისაუზ ბინაძე პროპოზიციას!

„ნაციონალური მოძრაო-
ბის“ და სააკაშვილის მხაგრელი,
ბოროტი ძალის ერთ-ერთი მთა-
ვარი მიზანი და ამოცანა იყო სწო-
რედ მთავარი ინსტიტუციების
დისკრედიტაცია, როგორც არის
ეკლესია, თვითონ ჩვენი პატრიარ-
ქი, მღვდელმთავრები, მამები და
ზოგადად მთელი სასულიერო პი-
რები, - ამის შესახებ საქართვე-
ლოს პრემიერ-მინისტრმა ირაკ-
ლი ლარიბაშვილმა „ქართული
ოცნების“ კასპის მერობის კანდი-
დატის ვახტანგ მაისურაძის წარ-
დგენისას განაცხადა. მთავრობის
მეთაურის შეფასებით, გავრცე-
ლებული ჩანაწერები არის ანტი-
სახელმწიფოებრივი, ბინძური
პროვოკაცია.

„ჩვენ ვნახეთ, როგორი შეტე-
ვა განახორციელეს თუნდაც ერთ-
ერთი მთავარი, მნიშვნელოვანი სა-
ხელმწიფო უწყების - სახელმწი-
ფო უსაფრთხოების სამსახურის
წინააღმდეგ, როგორი ბინძური
პროვოკაცია დაგვგმეს. მათი მუდ-
მივი, პერმანენტული ბრძოლა ჯა-
რის წინააღმდეგ, პოლიციის წი-
ნააღმდეგ, სასამართლოს წინააღ-
მდეგ, ანუ ყველა ავტორიტეტული

ინსტიტუციის წინააღმდეგ ხდება
იმიტომ, რომ მოახდინონ დემორა-
ლიზება და სისტემის დისკრედი-
ტება. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენ კარ-
გად გვაქვს გააზრებული, ჩვენმა
ბრძენმა ხალხმა ძალიან კარგად
იცის, როგორ ანტიეროვნულ და
ამასთანავე ანტიეკლესიურ, ანტი-
სახელმწიფოებრივ ძალასთან
გვაქვს საქმე და შემთხვევითი არ
არის ის, რომ ჩვენმა მოსახლეო-
ბამ 9 წლის წინ ამ ადამიანების
ჩაგვრას და მათ მავნებლურ, ან-
ტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას
უარი უთხრა საბოლოოდ. ეს უარი
დასტურდება 7 არჩევნების მესვე-
რებით და 7 არჩევნებში დადას-
ტურდა ეს ვერდიქტი, რომელიც
ქართველმა ხალხმა გამოიტანა. რა
თქმა უნდა, ჩვენ კარგად ვიცით, რა
მიზანს ემსახურება აღნიშნული
პროვოკაცია, მაგრამ ჩვენ ძალი-
ან მშვიდად უნდა მივიდეთ არჩე-
ვნებზე, ძალიან ძლიერად გავიმარ-
ჯვოთ და მტკიცედ გავაგრძელოთ
ჩვენი ქვეყნის მართვა და ჩვენი
ქვეყნის განვითარება“, - აღნიშ-
ნა პრემიერ-მინისტრმა.

06. 2 33.

ესპანური სანარკომო მეზებს

სახელმწიფო ყოველთვის მხარს დაუჭერს
მსგავს სანარკომებს, რათა რეგიონები ეკონომიკუ-
რად განვითარდეს, რაც თავის მხრივ, ქვეყნის ეკო-
ნომიკური განვითარების საფუძველია, - ამის შე-
სახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი
ლარიბაშვილმა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ
მეტეხში, კერამიკული აგურის მწარმოებელ კომ-
პანია „კერამიკა ელ ტორრენტეში“ განაცხადა, სა-
დაც ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მი-
ნისტრ ნათია თურნავასთან ერთად იმყოფებოდა.
მთავრობის მეთაურმა კერამიკული აგურის
მწარმოებელი ქარხანა დაათვალიერა და კომპა-
ნიის თანამშრომლებს გაესაუბრა.

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრ
ნათია თურნავას თქმით, ესპანურმა კომპანია „კერა-
მიკა ელ ტორრენტე“ ქარხნის ესპანეთიდან საქარ-



თველოში გადმოტანის გადამწყვეტილება 2018 წელს
მიიღო. კომპანია სარგებლობს სახელმწიფო პროგრამის
„ანარმოე საქართველოში“ საბანკო კრედიტის
900 000-ლარიანი თანადაფინანსებით და საკრედი-
ტო-საგარანტიო სქემის 2,55 მლნ ლარის ოდენობის
კომპონენტით.

სანარკომოს ჯამური ინვესტიცია 11,4 მლნ ლარს
შეადგენს. კომპანია დღეში 120 ტონა აგურს აწარ-
მოებს და პროდუქციის რეალიზაცია ადგილობ-
რივ ბაზარზე ხდება.

პრემიერ-მინისტრთან ერთად კერამიკული აგურის
მწარმოებელ ქარხანაში იმყოფებოდნენ ვიცე-პრემიერ-
ი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
ლევან დავითაშვილი, რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსე-
ლაძე, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურ-
თიერთობების დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარ-
ნაბიშვილი და სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქარ-
თლის მხარეში ვალერიან მჭედლიძე.



გიორგი გუგუშვილი

თქვენ იხილეთ კამპანია, რომელიც მათ წამოიწიეს ჩვენი მერობის კანდიდატების წინააღმდეგ, ძალიან მარტივია ამის ახსნა, ხომ?! იცინა რა, რომ ისინი ყველა მუნიციპალიტეტში, ყველა ქალაქში სასტიკად მარცხდებიან, რა უნდა მოეფიქრებინათ თუ არა რაღაც გამოგონილი ლეგენდები, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიამ შეილა...

ისევ ბინძური პროპაგანდა!

მა „ქართული ოცნების“ კასპის მერობის კანდიდატის ვახტანგ მაისურაძის წარდგენისას განაცხადა. მთავრობის მეთაურის შეფასებით, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ბინძური ხელნერა. „ამას აკეთებს ის ძალა, რომელიც გამოირჩეოდა ადამიანების ჩაგვრით, წამებით, გაუპატიურებით, ბიზნესის დატერორებით, ათასი უბედურებით და რაც მთავარია კიდევ - ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპანტისთვის გადაცემით. კოდორის ხეობის, ცხინვალის რეგიონის, ჩვენი ძირძველი სოფლების გადაცემით ოკუპანტისთვის. ამას ბედავს ის ძალა, ვისმა ლიდერმა განაცხადა, რომ ჩვენი ძირძველი ტერიტორიები, ეს ასეულობით სოფელი, მისი...

სიტყვებით - ქვეყნის გროვა არის. როგორ შეიძლება ასეთ ადამიანს და ასეთ ძალას დღეს კიდევ ვინმე მისცეს ხმა, ეს ხომ არის თანამონაწილეობა აი ამ დიდ ღალატში და დიდ შეთქმულებაში. მესმის, რომ შეიძლება ძალიან ბევრი ადამიანი დღეს იყოს განაწყენებული, პროტესტი გააჩნდეს, ბუნებრივია, იმიტომ რომ გასაჭირია ქვეყანაში და ძალიან ბევრ ადამიანს უჭირს და ჩვენ ეს ძალიან კარგად გვესმის. ჩვენ არ ვართ უშეცდომი, ჩვენ არ ვართ იდეალური მთავრობა და ხელისუფლება, მაგრამ ვართ ყველაზე პუმანური ხელისუფლება ბოლო 30 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ჩვენმა ხალხმა მოიპოვა, აღიდგინა დამოუკიდებლობა. ჩვენ ჩვენი შეცდომებით, ბუნებრივია და შეცდომა ყველას მოგვდის...

- ყველა მმართველს, ყველა ადამიანს, ვინც საქმეს აკეთებს, მაგრამ ამ შეცდომებს, ამ სარვევებს ვასწორებთ და მივდივართ წინ. რაც მთავარია, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა ბოლო რვა წლის განმავლობაში, არც ერთ ხელისუფალს არ გაუკეთებია ასეთ მოკლე დროში ერთბაშად, მასშტაბურად ყველა მიმართულებით - ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, ეკონომიკა, განათლება - ყველა მიმართულებით გვაქვს ხელშესახები პროგრესი, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა ასეთი კატასტროფული პროპაგანდა მიმდინარეობს ქართული ხალხის წინააღმდეგ. პირდაპირ უნდა ითქვას, ეს არის საინფორმაციო, ფსიქოლოგიური ომი, ეს ადამიანები უცხადებენ საინფორმაციო, ფსიქოლოგიურ ომს და ამოყვებენ ამ ომის, ამ ტერორის პირობებში ბოლო ცხრა წლის განმავლობაში და მანამდე გასსოვთ როგორი მოჩვენებითი, ილუზიური რეალობა იყო ჩვენს ქვეყანაში. მათი პროპაგანდის შემდეგობით, სწორედ ჯოჯოხეთი იყო ნაჩვენები სამოთხედ და ახლა პირიქით, ასეთ სიტუაციას, განვითარებას, პროგრესს, სიმშვიდეს, სტაბილურობას მოაჩვენებენ, როგორც აპოკალიფსს. ამიტომ მე გობრებო ჩვენ, ამ შეთქმულებას სახელმწიფოს წინააღმდეგ და ჩვენი ეკლესიის წინააღმდეგ, მივალთ 2 ოქტომბერს და ქართველი ხალხი ღირსეულ პასუხს გასცემს და „ქართული ოცნება“ გამარჯვებს ყველა ქალაქში და ყველა მუნიციპალიტეტში. ჩვენ ვართ ძლიერი ხელისუფლება.

...ყველაზე საშიში სილისნაგებები!

სასულიერო პირების რეაქცია სავარაუდო თვალთვალზე

საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **ანდრია ჯაღმაიძე** გავრცელებულ დოკუმენტებზე, რომლებშიც სასულიერო პირებზე განხორციელებულ სავარაუდო თვალთვალის ფაქტებზე საუბრობს, ამბობს, რომ შეფასებას არ იქცარებს. „ძალიან ცუდია, თუ სიმართლე უკანონო მოსმენების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია. ისე, ზოგიერთი ტელევიზიიდან ფაბრიკაციებით ბევრი გვიანხავს, ცილისწამებებიც. სამწუხაროდ, თავად ტელევიზიებმა შეგვანვიეს, რომ ახალი ამბები „იქმნება“ და არა უბრალოდ შუქდება. ტყუილის და მართლის შერევით კი ყველაზე საშიში ცილისწამებები იქმნება. ამიტომ კომენტარის გაკეთებას არ ვიქცარებ“, - ამბობს ჯაღმაიძე.

სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს ხედავს ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი, **მიუწვი ნიკოლოზი**. „თვითონ ის ფაქტი, რომ ისინი მისმენენ, ამისი გაუფრებო და ის, რომ ამ ინფორმაციამ სადმე გაფრთხილოს, არის სისხლის სამართლის დანაშაული, რომელზეც პირველ რიგში, სახელმწიფოა პასუხისმგებელი. თუ მოჰპარეს ეს ინფორმაცია და გაავრცელეს, პასუხს მაინც სახელმწიფო აგებს. მე რა ცოდვები მაქვს ჩადენილი და რა დანაშაული, ამას გამოვიგონებ თუ ასეთი ფორმით გაავრცელებ, არავითარი განსხვავება არ არის. შენ შეგიძლია, ადამიანს უთხრა ეგეთი რამე, რომ თუ შენ არ ითანამშრომლებ ჩემთან, მე შენ ცუდ რამეს გაგიკეთებ, მოვიგონებ ამას თუ სხვა რამეს ვიზამ, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს“. ბოდიშს ეპისკოპოსს, **მიუწვი იაკობს** კი პრობლემად არ მიაჩნია, მას თუ უსმენენ და უთვალთვალდებიან. „ვინც ჩამომითვალეს, ყველას ვიცნობ და ასეთი რამე გამორიცხული მგონია. ვიღაცა შეიძლება, რაღაცა ჭორს აგორებდეს, არ ვიცი. მე არ მალელებს, მისმენდნენ. ჩემები კი არა, ნებისმიერი მისმენდეს, მიყურებდეს, პრობლემა არ მაქვს, იმიტომ, რომ მთავარია, ღმერთი მიყურებს, ვიცი. პირადად მე თუ მიყურებს და მითვალთვალეს, პრობლემად არ მიაჩნია“.

თაკო ჩარკვიანი მისი ილ სააკაშვილის დასაბრუნებლად საზოგადოებრივ საწყისებზე ორგანიზაცია დააფუძნა. მისი თქმით, „საერთო სახალხო მოძრაობა“ მშვიდობიანად უნდა დააბრუნოს ის პრეზიდენტი, რომელმაც ქართული სახელმწიფო განავითარა ინვესტიციებით, დანგრეული, ჩაბნელებული საქართველოდან შექმნა სახელმწიფო და დააყენა ფეხზე“.

თაკო ჩარკვიანი „ბრწყინვალე დეფორმაციის დასაბრუნებლად“



უპიცოზიდან - სოსილურ აპადმეოლოგობა

თაკო ჩარკვიანიმ ისრაელის მაგალითი მოიშველია. როცა ისრაელის სახელმწიფო იქმნებოდა, ებრაელები თავიანთ ხალხს მთელი მსოფლიოდან თავის ქვეყანაში ეძახდნენ ქვეყნის შესაქმნელად. საქართველოს კი, ამხელა კულტურის ქვეყანას, 30 წელიწადია არ აქვს რეფორმირებული სამართლებრივი სისტემა. ჩარკვიანის თქმით, მოდის კოალიციური მთავრობა, რომელიც მშვიდობიანად აბრუნებს სააკაშვილს საქართველოში და უბრუნებს არასწორად ჩამორთმეულ მოქალაქეობას!!! „ყოფილი პოლიტიკატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარეს **ნანა კვაბაძემ** აინტერესებს, რა უფლება აქვს თაკო ჩარკვიანს, შექმნას ორგანიზაცია სახალხო მოძრაობის, ანუ ხალხის სახელით იმ პირის დასაბრუნებლად, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა არ აქვს და ჩვენს შიდა საქმეებში ჩარევის უფლება არ გააჩნია?! „გაუგებარია, რომ საქართველოში იქმნება ორგანიზაცია, რომელიც იმ პირის ჩამოყვანას უწყობს ხელს, რომელიც ძებნილია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან და, რომელსაც მისჯილი აქვს სასჯელი იმ დანაშაულებსათვის, რაც მან ჩაიდინა. ამ დროს ვიღაც ფიქრობს, ეს ადამიანი ციხის ნაცვლად თურმე უნდა იყოს პოლიტიკაში, თანაც საუბარია საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირზე. ცხადია,

ამას უნდა მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება. ხელისუფლების სისუსტის გარდა ამას ვერანაირ შეფასებას ვერ მივცემთ. როგორ შეიძლება, ჩვენი საზოგადოების ამ ნაწილს არ ჰქონდეს ალქმა, რომ სააკაშვილი კრიმინალია. თაკო ჩარკვიანი თავის ორგანიზაციას ეძახის „კანონი და სამართალი“. ეს არის არაკანონიერი, უსამართლო და ქვეყნისთვის შეურაცხმყოფელი ქმედება. როგორ შეიძლება, ასეთ ქმედებას კანონით ახორციელებდეს ჩარკვიანი იქნება ეს, თუ ბაგრატიონი?!“ - აცხადებს ნანა კვაბაძე. მისივე აზრით, ასეთი „ინიციატივები“ უმეცრებით აიხსნება, თუმცა, რა თქმა უნდა, ფინანსური ინტერესიც არ უნდა გამოვრიცხოთ. ნანა კვაბაძე დარწმუნებულია, რომ ფინანსურ ინტერესსაც აქვს თავისი ჩარჩოები, როდესაც მცოდნე ადამიანთან გვაქვს საქმე. უმეცარი ადამიანი კი უფრო მარტივად მიდის დანაშაულზე, რადგან არ იცის, კანონი რა არის. „აქ ერთია ფინანსური ინტე-

რესი და მეორეა უმეცრება. მესამე და ყველაზე მთავარია ჩვენი ქვეყნისადმი უპატივცემულობა. რასაც დღეს თაკო ჩარკვიანი და მისი ე.წ. პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახორციელებენ, ეს არის იმ პოლიტიკატიმრების უპატივცემულობა, რომლებიც საბჭოთა პერიოდის, სააკაშვილის, თუ ნებისმიერი ხელისუფალის პირობებში ციხეში დაიღუპნენ, ან იხდიდნენ სასჯელს. ეს არის მათი პირადი შეურაცხყოფა და, ზოგადად, პოლიტიკატიმრის ცნების შეურაცხყოფა“, - მიიჩნევს ნანა კვაბაძე. ანალიტიკოს **დავით ზარდია** აზრით, „მიუწვი რეფორმატორის“ ცნება უკვე სადავოა. ჩვენთან საუბრისას ანალიტიკოსი აცხადებს, რომ არავითარი პოზიტიური შინაარსი სააკაშვილის რეფორმატორობას არ მოუტანია. „რისი რეფორმატორია, რომ ცოცხები შეიტანა ციხეში? თუ იმის რეფორმატორი, რომ საქართველომ ტერიტორიების 20% დაკარგა სააკაშვილის ხელში? სა-

ხელმწიფოს იდეა ჩანაცვლა თავისი კერძო კორპორაციის იდეით? რეფორმატორია, რომ სასამართლო მოსპო? ეს ხომ მისი მთავარი ცოდავია, რაც დღესაც პრობლემაა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობაში. სასამართლოს რეპუტაციული ზიანი მიადგა მის დროს. მან სასამართლოში მოსპო მხარეთა შეჯიბრებითობა, უდანაშაულობის პრეზუმფციის ნაცვლად ამკვიდრებდა საპროკურორო ბრალის პრეზუმფციას, უდავოდ დებოდა საპროკურორო ბრალი და სასამართლოს იყენებდა, როგორც ინვიზიტიურ ინსტრუმენტს, რომელიც მისთვის ნოტარიუსის ფუნქციას ასრულებდა. ამის მიუხედავად, იძახის, ჩემს რეფორმებს სხვა ქვეყნებშიც ახორციელებენო. მაგალითად მოჰყავს პატრულის რეფორმა. ცხადია, სწორი იყო „გაი“-ს გაუქმება, მაგრამ ეს მისი მოგონილი რეფორმა არ არის, ეს არის დასავლური სტანდარტი“, - აცხადებს დავით ზარდიაშვილი და ცდილობს იმის ახსნას, რატომ შეიძლება გაუჩნ-

დეს ადამიანს მისას მობრუნების სურვილი. დავით ზარდიაშვილის აზრით, აქ კორპორაციული ინტერესია, თაკო ჩარკვიანი ამ ქვეყანაში სხვანაირად ადგის ევლარ ხედავს. როგორც წესი, სახელმწიფოში ყველა მოქალაქე თანასწორია, მაგრამ, როცა სააკაშვილის კორპორაციული წყობა არსებობდა, ვინც სააკაშვილთან იყო კარგად, ის რეალურ ცხოვრებაშიც კარგად გრძნობდა თავს. დავით ზარდიაშვილი ფიქრობს, რომ ასეთ ვითარებასა ჩარკვიანი მიჩვეული, ვიღაცასთან კარგად უნდა იყოს, ან ხელი-სუფლებასთან, ან ოპოზიციასთან, ეს არის სოციალური ავადმყოფობა, ამას ჰქვია პატრონული ტიპი. „ეს სააკაშვილმა შესანიშნავად იცოდა და თავისი კორპორაცია ამაზე ააგო. ასევე, გუბაზ სანიკიძესაც უნდა კარგი პატრონი ვინც „ნაცების“ მომხრეა, ისინი არიან კარგი პატრონის ძიებასა და მოლოდინში. ძირითადად ეს არის ხალხი, რომელთაც გარკვეული პრივილეგიები ჰქონდათ. ასეთ ადამიანებს მიაჩნიათ, უკეთესად იქნებიან მისთან, რადგან „ქართულ ოცნებაზე“ არიან განაწყენებულნი. შესაძლოა, ზოგიერთი სამართლიანადაც არის განაწყენებული „ქართულ ოცნებაზე“, მაგრამ ამის გამო ადგე და რეალური შეიცვალა, სირცხვილია აბსურდი და სიგიჟე ასეთი განწყობა - „მიშა დავაბრუნოთ“. რაც შეეხება რეფორმატორობას, თვითონ „ნაცმოძრაობას“ არ სჯერა, რომ მიშა რეფორმატორია. თაკოსაც არ სჯერა მიშას რეფორმატორობის, უბრალოდ, სჭირდება ასეთი მესიჯები. მიშა რეფორმატორი კი არა, დეფორმატორია. მან ქართული სახელმწიფოს დეფორმაცია მოახდინა“, - გვითხრა დავით ზარდიაშვილმა. **ესაუბრა მარიამ ლოლაშვილი**

„კარგი ჩვენს მოგვეწონება, ცუდი არც თავის დედასა“...

ორიოდა სიტყვა კახა კალაიასათვის და ზოგიც – „ქართული ოცნებისათვის“

ამ სიტყვას კახა კალაიას შესახებ ყველაზე თავისუფლად და გულმარ-
თლად ვიტყვი, რადგან:
პირადად არასდროს შევხვედრებოდი, ანუ არ ვიცნობ მას.
არანაირი პროფესიული ინტერესი არ მაკავშირებს მასთან.
არაფერში არ მჭირდება მისი თანამდებობა და მდგომარეობა.
სათქმელს ისიც მიაღვილებს, რომ არც მის რეიგინგს სჭირდება მაინც-
და მაინც ეს ჩემი გამოსხაურება.
მაგრამ ამ პრაგმატულ დროშიც არის ზოგი რამ ისეთი, რომელიც გვათ-
ქმევინებს (დიდი ივანე ჯავახიშვილის კვალად): „კარგი ჩვენც მოგვეწო-
ნება, ცუდი არც თავის დედასა!“



კახი კალაიასი

პოლიტიკას უყვარს გადამეტება და ნამ-
დვილად ვერ მივიღებ ერთ-ერთ შეფასებას:
„ყველა დროს ყველაზე საუკეთესო მერი“.
ლმერთმა ნუ ქნას, საქართველოს დედაქალაქს
უკეთესი მერი კვლავაც არ გამოუჩნდეს. მაგ-
რამ კალაიასნაირი რომ დღემდე არ ჰყოლია,
ეს აშკარაა.

არც კალაიასნაირი მხარდაჭერი გუნდი
ჰყოლია და სამოღვაწეო გარემო ჰქონია ვინ-
მეს.

ცხადია, „ქართულ ოცნებას“ გვულისხმობ
და მის შესახებ ქვემოთ ვიტყვი მცირედს.

კახა კალაიე უპირველესად იმით იქცევს
ყურადღებებს, რომ მან თვითონ შექმნა საკუ-
თარი პიროვნება. მისი ბიოგრაფია საუკეთესო
მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია ადამიანის
მიზანდასახულობასა და ნებისყოფას, როგორ
სჭირდება ტრანსსახსიათის სიმტკიცე და ნე-
ბელობა. ეს ბიოგრაფია შეიძლება მომავლის
(ბიჭების) აღზრდის მაგალითად გამოიყენო...

ეს შეეხება კალაიას სპორტულ კარიერა-
საც და პოლიტიკურ ნაბიჯებსაც.

რაც მეტი გულშემატკივრები ვიყავით მისი
საფეხბურთო წარმატებებისა, მით უფრო მა-
ლალია ის მოთხოვნები, რასაც მის პოლიტი-
კურ მოღვაწეობას ვუყენებთ.

ბევრი წარმატებული სპორტსმენი თუ ხე-
ლოვანი მოსულა პოლიტიკაში, მაგრამ მისი
შედეგობები პოლიტიკურ თანამდებობებზე გა-
ფერმერთალებულა. კახა კალაიე ისე ბუნებ-
რივად ჩაენერა პოლიტიკურ გუნდში და ისე
უტომოდ გაიარა ეს ურთულესი პერიოდი,
მალალი დიპლომატიური სკოლების აღზრდი-
ლი გეგმობა. მასში საუკეთესოდ წარმოჩი-
ნდა ქართველი კაცის ბუნება და ნიჭი; ეს ვლინ-
დება პარტიული საქმიანობის წარმართვაშიც,
მინისტრობაშიც, მერობაშიც, მოქალაქეობა-
შიც, მეოჯახეობაშიც...

რაც შეეხება მისი მერობის პირველ ოთხ
(სამაგალითო) წელს:

**იმ დროს, როდესაც გავიგებდით
ოპოზიციის ყველაფერს ანგრივად და
რჩენილად დედაქალაქში, იგი ძალაში აბ-
რუნებდა და სინოცესუს უღვივებდა; იმ
დროს, როდესაც სიპუზილით გაართი-
ანებად აქტიურობდნენ არსაიტიანი
უღვივებდა და იმისაგანდაც პარტიაში
ტინფინა წინადაც ალბან (სხვათა შორის,
დროს ეს სიპუზი წინადაც აბილიად შეი-
რატესოს), იმ დროს მერი ამ ყველაფერს
აშენებდა...**

ერთი სიტყვით, დედაქალაქმა იგრძნო, რომ
მას გულითადი მზრუნველი და საქმით ქომაგი
გამოუჩნდა.

მხოლოდ ვაკის მასშტაბური რეკონსტრუქ-
ცია იკმარებდა კახას წარმატებული მერობის
დასტურად. ვაკის გაბედული პროექტი მერმა
ფაქტობრივ დაგვანახა დედაქალაქის საუკე-
თესო მომავალი. საკმაოდ ხანგრძლივი რეკონ-
სტრუქციის შემდეგ პირველად ჭაჭაჭაგაძის
გამზირზე რომ მოვხვდი, მყისიერი განცდა
იყო, რომ ვეროპის რომელიღაც ქალაქში ვი-
ყავი. განსაკუთრებული შინაარსი კი ამ ურ-
ბანული გეგმისა უთუოდ გახლავთ საზოგა-
დოების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის
უპირატესობა თანამედროვე ტექნიკურ გარე-
მოში. ხომ იგივე შენობები და სივრცეა, მაგ-
რამ ინფრასტრუქტურის რაციონალური და-
გეგმარებით მოქალაქემ სხვა თავისუფლებით
ამოიხსნა. ისიც აშკარაა, რომ თუ საბურ-
თალოზე სწრაფად მისვლა გინდათ, უმჯობე-

სია ვაკით წახვიდეთ. ამ მაგალითზე ისიც უნდა
იტყვას, რომ თბილისის სხვა უბნებშიც თავისი
ფექტი აჩვენა საზოგადოებრივი ტრანსპორ-
ტის უპირატესობამ (ცალკე ზოლმა ამ ფუნქ-
ციით); ანუ თბილისის საერთო სატრანსპორ-
ტო განვითარების საიმედო კონტურები გა-
მოჩნდა.

**მართლაც განსაკუთრებულად
შღვას „კახა კალაიას გუნდი“. ეს მისი ნი-
ჭის და ბუნების განსაკუთრებული მხა-
რებია. რა განსაკუთრებულად მნიშ-
ვანს და დიდ ფასს უსწავთ მათ
ბუნების განსაკუთრებული მხარე-
ბის განცდა მონაღვრის, მაგრამ სხვა
მხარეების გამოვლენა მართლაც საინტე-
რესოა. თანაც, როგორ უზრუნველად წარ-
მოაჩინა თავისი საბუნების განსაკუთრებული
კონსტრუქციები... ანდა მასთან ტანდემი რე-
გორი განსაკუთრებული დროებითი წარ-
მოადგინა ძალაში წინა მოწვევის საკ-
რავალს თავისგანდამოკიდებულად და ახლანდ-
ელი მართლმადიდებელი გიორგი ტყეშელაშვილი...**

სრულიად განსაკუთრებულია დედაქალა-
ქის გამწვანების ახლანდელი პოლიტიკა. და-
უჯერებელიც კია, რამდენი ახალი პარკი, სკვე-
რი და დასასვენებელი თუ სპორტულ-გამაჯან-
სალებელი სივრცე შეიქმნა ამ მოკლე პერიოდ-
ში. მერე რა ნარგავები შენდება თბილისის ქუ-
ჩებსა და მოედნებზე, ნერგები კი არა, პირდა-
პირ გაზრდილი ხეები, პირველსავე წელს რომ
ყვავიან. შეუძლებელია ნებისმიერმა თბილი-
სელმა არ იგრძნოს სიახაყე, რომ ამ მშვენიერ
ქალაქს პატრონი ჰყავს, რომ მის ბიუჯეტს
ძალა ჰქონია.

**დღანან ახლა კონსტრუქციები კა-
ლაიას გამოვლენის უნების ფორმა-
ში... უსივრცელოდ ახლანდეს მოსახლეო-
ბას ძალაში გამოვლენის პირობას!**

მართლაც რა დამამცირებელი იყო ის წლე-
ბი, როდესაც ჩვენს თვალწინ უტიფრად სწა-
დიოდნენ სიყალბეს – ნელინად მივხვდით, ად-
რე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე ჩა-
არჭობდნენ მინაში ჯოხებს (ასიათასობით!),
შეიძლება მოსაჩვენებლად ორიოდეჯერ წყა-
ლიც დაეხსათ, მერე იმით დააბრუნდნენ და
სხვა ჯოხებს ჩაარჭობდნენ. ჯოხი არა და ვი-
ლაც კი ყვავდა ამ დროს. ან სად შოულობდ-
ნენ ამ რაოდენობის ჯოხს?! უფრო სწორად:
კალაიე სად შოულობს იმ ჯოხებზე ორჯერ
მეტ გაზრდილ ხეებს?!

არ გეგონოთ, მხოლოდ იმ არსახსენებელი
ხელისუფლების ქალაქის მთავრობისკენ ვიშ-
ვერდე ხელს. ასე იყო დედაქალაქის ამასნი-
ნანდელი მმართველობის დროსაც, როდესაც
თბილისის მერი ნარმანია იყო, ხოლო მუნი-
ციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
– ალიბეგაშვილი.

**ახლა კალაიეს „ოცნების“ სხვა და ეს
უკანასკნელიც? კოლა, რაც მითად
წარმოაჩინა და მისცა მას საბუნების კა-
ლაიასნაირი „ქართული ოცნება“, მით
უკეთესი, და რაც უფრო მითად დააფა-
რებს ხელს ამ უკანასკნელთანაირებს,
მით უკანასკნელი პარტიისთვისაც და, რაც
მთავარია, ჩვენი მთავრობისთვისაც!**

ახლა, რაკი სიტყვა მოიტანა, ორიოდ
„ქართული ოცნების“ შესახებაც ვთქვათ.
უპირველესად: ჩვენთვის, თავისუფლების
სახელით დათრგუნული უამრავი მოქალაქე-

სათვის, „ქართული ოცნება“ ბევრად მეტი აღ-
მოჩნდა, ვიდრე რიგითი პარტიის სახელი.

ვინც შეურჩია, ნამდვილად ნიჭიერად შე-
ურჩია იმ მიმე დროში ახალ პოლიტიკურ
მოძრაობას ეს სახელი – „ქართული ოცნება“.

შეიძლება ამაში „ამერიკული ოცნების“
გავლენა დაავინახოთ, მაგრამ შინაარსით „ქარ-
თული ოცნება“ მაინც სულ სხვა დატვირთვისაა
და ეს დრომაც გამოაჩინა – ჩვენმა ხალხმა მას-
ში არა პრაგმატული მიზნები, არამედ ეროვ-
ნული იდეალები გაანითვია; სწორედ ამას და-
უკავშირა ჯერ – თავისი მხარდაჭერა და, შემ-
დეგ – გაზრდილი პრეტენზიებიც...

როგორც ხედავთ, ამ სახელწოდების და-
სახელების სიტყვა „პარტიის“ გამოყენებას
თავი ავარიდე. საქართველოში პარტია, კლა-
სიკური შინაარსით, ჯერაც არ არსებობს. იყო
ორიოდე პოლიტიკური გაერთიანება, რომელ-
თაც მე-20 საუკუნის ბოლოსათვის ამისი ნიშ-
ნები ჰქონდა, მაგრამ ქართულმა პოლიტიკა-
რებებმა ისინი იმსხვერპლა. „ქართული ოცნე-
ბას“ ახლა აქვს პარტიად ჩამოყალიბების არ-
ცთუ მარტივი პროცესი და ის მტკივნეულად
ირგებს უკიდურესად დემოკრატიულ იმიჯს...

რაც მთავარია, 2012 წლის ახალი პოლი-
ტიკური სუბიექტი – „ქართული ოცნება“ – სა-
ზოგადოებამ აღიქვა როგორც ქართველი
ხალხის ოცნება უკეთეს მომავალზე და, რო-
გორც წესი, თითქმის ბრმად გაჰყვა მას.

საბედნიეროდ – გაუმართლა!

რომ არ გამოგრძელებდეს ამაზე საუბარი,
ქართველი ხალხის ოცნება მშვიდობიანი სა-
ქართველო, პიროვნული ღირსების დაცვა, სო-
ციალური დაცულობის აღქმა, კულტურული
და ზნეობრივი სახის შენარჩუნება...

ქართველი ხალხის ოცნება ისტორიული
მემკვიდრეობის დაცვა, ბუნების მოვლა, ინტე-
ლექტუალური პოტენციალის განვითარების
შესაძლებლობა...

ქართველი ხალხის ოცნებაა ფიზიკურად
და სულიერად გაერთიანებული საქართველო.
ქართველი ხალხის ოცნებაა ასეთი დედა-
ქალაქი და, იმავე დროს, რეგიონების უფრო
მეტად, უფრო დროს შესაფერისად განვითა-
რება...

ქართველი ხალხის ოცნება იყო და არის
ისეთი კაცები და ქალები (ამ გენდერულ ოპო-
ზიციას ხაზს ვუსვამ, რადგან სხვა პარტიებ-
ში პოლიტიკოსებს ამ ნიშნით ვერ გაარჩევთ),
როგორებიც, სახელდობრ, არიან: კახა კალაიე,
ირაკლი ლარიბაშვილი, ირაკლი კობახიძე, სო-
ზარ სუბარი, თეა წულუკიანი, მიხეილ ყავე-
ლაშვილი, დავით სერგუნიძე, ელისო ბოლქ-
ვაძე, არჩილ თალაკვაძე... (არაერთი სახელი, რა-
კი პოლიტიკადაც გავიგნენ, აღარ ვასახელებ).
და ეს „ქართული ოცნების“ დიდი, გადამ-
წყვეტი აქტივია! მასში კარგად ჩანს და
იგრძნობა უხილავი დიდიფორის ხელი...

მაგრამ „ქართული ოცნებას“, როგორც პარ-
ტიას, ისეთი კუდებიც აქვს, რომელიც ქარ-
თული ხალხის ოცნება არ ყოფილა. გავეხსნოთ:
მარგველაშვილი, კვირიკაშვილი, ჯაში, ნარ-
მანია, ალიბეგაშვილი... (ამათი რიგაც არ წყდ-
ება აქ).

საბედნიეროდ, „ქართული ოცნებას“ საკმაოდ
აქვს შენარჩუნებული იმუნიტეტი, ანუ თვით-
განმწმენდის პოტენციალი და ჯერაც ამიტომ
უიგივედება მას ქართველი ხალხის ოცნება...

**გამითხვალთ უთუოდ იმაზე, რომ ამ
ოპუსს მხოლოდ კალაიას საბუნებისათვის
არ ვწა. მას უამრავად გაბრუნებულ-
ილი აქვს მისი მხარე არაფრად (სხვათა შორის,
ჩვენ უცხო სიტყვების დამოკიდებულების
მიღრამილი საზოგადოება ვართ და მი-
რიც ახა შემოვიღეთ. მაგრამ კალაიას
შემთხვევაში ნამდვილად მიახლოებულ-
ა ეს ტანდემი და უფრო შესაფერისი
„ძალაში თავი“ იქნებოდა).**

**მი ვსძლიო (მოცნებო) შავაფიზი-
ლო „ქართული ოცნება“, რომ მას ყველ-
გან, განსაკუთრებით რეგიონებში, ასე-
თივე ხალხის წარმომადგენლებში არა
ჰყავს, რომ სახელმწიფო სტრუქტურაში
გაჯერებული არა მხოლოდ ამისმმენე-
ლი „მეზობლები“, არამედ გზადაგზა
გაჩინილი შიდა „პოლიტიკა“ – მარგვე-
ლაშვილისტავით, კვირიკისტავით და
ახლა უკვე – გახარისტავით...**

**და ყოველივე ამის საპირფონოდ გა-
საბუნებისათვის შიდა პოლიტიკა-
კოლაში დავიწყებული ქართველი
ხალხი, დაკარგული ნამდვილი მხარე-
მხარე...**

**შეიძლება, პოლიტიკაში
მალა მდგომი ქარ-
თული ხალხის ოცნება...
ავთანდილ
არაბული,
აკადემიკოსი.**





„ქართული ოცნების“ ყრუ კედელი

ღია წერილი საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დამფუძნებელს, საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

მწილს ბედნიერად იჯახს რომ ერთმანეთს ჰგავს და ყველა უბედურ იჯახს თავისი უბედურება სჭირს, ამის თაობაზე ლევ ტოლსტოიმ 150 წლის წინ აუწყა კაცობრიობას.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩემს იჯახში დატრიალებული უბედურება ამოვარდნილია საერთო კანონზომიერებებიდან და შექმნილ სიტუაციაში სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ, თავს უფლებას ვაძლევ, ამ ფორმით მოგანვდინოთ ხმა და გთხოვოთ თანადგომა.

2021 წლის 11 მაისს, მესუთე შვილზე მშობიარობიდან ერთ კვირაში, ჩემი რძალი ეკატერინე თაბაგარი უგონო მდგომარეობაში მოათავსეს ქუთაისის ინტერვენციული სამედიცინო ცენტრის რეანიმაციულ განყოფილებაში, თავზარდამცემი დიაგნოზით: ინსულტის უმძიმესი ფორმა ორმხრივი პნევმონიის ფონზე.

ურთულესი ნეიროქირურგიული ოპერაციის შემდეგ, მისი კომპლექსური

მდგომარეობიდან გამოყვანა ვერ მოხერხდა და კლინიკაში მოთავსებიდან მე-19 დღეს, 34 წლის ახალგაზრდა ქალი, მრავალშვილიანი დედა, გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

გარდაცვლილს (პირადი ნომერი 53001015999; მის. ქ. ქუთაისი, პაოლო იაშვილის 24) ჰქონდა სოლიდური საბანკო იპოთეკური ვალდებულება „პროკრედიტ ბანკში“, 41 თასი აშშ დოლარის ოდენობით, რომლის ერთი მეოთხედი იმ საბედისწერო პერიოდისთვის უკვე დაფარული იყო, ყოველთვიური შენატონით, 405 დოლარი. რომ არა ეს ენით აუნერვლი ტრაგედია, საბანკო დავალიანების გასტუმრებას საფრთხე არ ემუქრებოდა, რადგან გარდაცვლილის სახელფასო ანაზღაურება იძლეოდა ამ თანხის პერიოდულად დაფარვის შესაძლებლობას.

ხუთი უმწიო ბავშვის მამა, რომლის ხელფასი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მისი გარდაცვლილი მეუღლის ყოველ-

თვიური შემოსავალი იყო, ვერაფრით შეძლებს იმდენი ფინანსური რესურსის მოძიებას, რომელიც საკმარისი იქნებოდა საპროცენტო განაკვეთის დასაფარავად, რაც გაართულებს საბანკო დანებებულებასთან ურთიერთობას და კიდევ ერთი გადაუღალავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება ისედაც გაუბედურებული იჯახი.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ა/წლის 7 ივნისს (განმეორებით, 12 ივნისს) განცხადებით მივმართე საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარეს ბატონ ნიკოლოზ ჩხეტიანს, თუ ამის რესურსი არსებობდა, შესწავლათ არსებული მდგომარეობა, შესაძლო დახმარების აღმოჩენის მიზნით. განცხადებას თან ერთვოდა წყალტუბოს საპატიო მოქალაქეთა – რვა ღვანლმოსილი პიროვნების ხელმოწერით დადასტურებული სარეკომენდაციო წერილი, რაც ჩემთვის დიდი პატივი და მორალური მხარდაჭერის გამოხატულება იყო.

არსებული მდგომარეობის ამსახველი მასალა ასევე მივანოდე საქართველოს პარლამენტის წევრს ბატონ გივი ჭიჭინაძეს, რათა სადებუტატო უფლებამოსილების ფარგლებში ეშუამდგომლა ფონდის გამგეობასთან.

სამწუხაროდ, ჩემს მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია – არავითარი პასუხი, თუნდაც უარყოფითი, არცერთი ადრესატისაგან არ მიმიღია, რის გამოც ვიმყოფებით სრულ გაურკვევლობაში და სასონარკვეთილების ზღვარზე.

ბატონო ბიძინა, გამოვთქვამ რწმენას, როგორც ქველმოქმედი და მრავალშვილიანი მამა, თქვენთვის ჩვეული გულისხმიერებით მოეკიდებით ჩემს თხოვნას და თუ თქვენ მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო ფონდის შინაგანანესი იძლევა ამის შესაძლებლობას, დახმარების ხელს გაუნვდით უმძიმეს განსაცდელში ჩავარდნილ უმწიო ბავშვებს, რომელთაგან ზოგი სკოლის მოსწავლეა და ზოგიც საბავშვო ბაღის აღსაზრდელი. რაც შეეხება ახალშობილ ჩვილს, რომელიც დედას მხოლოდ ექვსი დღის დარჩა, ამჟამად სხვა ოჯახშია მიბარებული კეთილი ადამიანების იმედად და მისი მომავალი, ჯერჯერობით, ისევე გაურკვეველია.

ბატონო ბიძინა, საკმაოდ სოლიდური ასაკისა და მწარე ცხოვრებისეული გამოცდილების მიუხედავად, დღემდე გულბრყვილოდ მჯერა, რომ ამ კურთხეულ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი გულისხმიერი ადამიანები, სხვათა ტკივილის გაგება და გათავისება რომ შეუძლიათ. დიდად მაძლობელი დაგრჩებით, ამ რწმენის განმტკიცებაში თუ დამეხმარებით.

აქვე შეგახსენებთ თქვენი ფავორიტი მწერლის ჯორჯ ორუელის სიტყვებს, იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა გაჭირვებულს უჭირს, მაგრამ ზოგიერთ გაჭირვებულს უფრო მეტად უჭირს და მათთვის ხელის გამართვა სასიცოცხლოდ აუცილებელია.

თანადგომის იმედი,
თაიგურაზ ჯანელიძე,
პუბლიცისტი, პოლიტოლოგი,
გამეტ „ახალი წყალტუბოს“
სამოგადოებასთან ურთიერთობის
კოორდინატორი.
ტელ. 551 00-59-50, 571 565-565

© ოპოზიციონარი ოპტიმისტის „რჩევა“

გაპიკაფოთ გზა პაღამდელი არჩევნებისკენ!

ძვეყნის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ადგილობრივი არჩევნები. მით უმეტეს მაშინ, როცა მის ძირითად ფუნქციას, დამატებით უფრო დიდი მნიშვნელობის კონკრეტული მოვალეობა – არჩევნებში თითოეული პარტიის კანდიდატის მიერ მიღებული ხმების პროცენტის გამოვლენა-დადგენა ეკისრება, რომელზედაც დამოკიდებულია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება 2022 წელს.

იმედია, „ქართული ოცნება“ გონიერებას და გამჭრიახობას გამოიჩინებს და 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების გაყალბებას არ მოახდენს, რაც ხელისუფლებისთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება – დაემართება ის, რაც პარტია „მოქალაქეთა კავშირს“ დაემართა.

ყველა პოლიტიკური პარტიისადმი უნდობლობა და არჩევნების ბოიკოტირება გაუმართლებელია! არჩევნებში აუცილებლად უნდა მივიღოთ მონაწილეობა. დავადასტუროთ ჩვენი თავის ამ ქვეყნად არსებობა და ხმა მივცეთ იმ პარტიის კანდიდატს, რომელიც ჩვენი შეხედულებით, სხვა პარტიის კანდიდატთან შედარებით უფრო საიმედო და სანდოა თავის წინასაარჩევნო დაპირებებების შესრულებაში!

არ დაგვაიწყდეს, რომ ყოველი ამომრჩეველი ქვეყნის მომავლის, საკუთარი თავის და შთამომავლის ბედის მჭედელია! არჩევნებში თითოეული პარტიის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული მისი მხარდამჭერის აქტივობაზე.

თუ გვინდა უფსკრულიდან ამოსვლა და უკუწევიდან სინათლეში გამოსვლა, საქიროა არჩევნებში წარმატების მოპოვება, – უნდა გავიკაფოთ გზა ვადამდელი არჩევნებისკენ! რომელიც, მომავალში, პარლამენტში მონოპოლიის აღკვეთის, ერთპარტიული მმართველობიდან თავის დაღწევის და მრავალპარტიული პარლამენტის შექმნის, კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების საწინდარი იქნება.

პარლამენტში იქნებოდა სხვადასხვა პარტიებიდან შერჩეული, ნაღები ლიდერებისგან შემდგარი, გამოცდილი პოლიტიკოსების ერთობლიობა. მათ შორის „ქართული ოცნების“, უმნიშვნელო წარსულის მქონე, გა-

მოდელი პოლიტიკოსები, რომლებიც სხვა პარტიებთან ქიშპობას და შურს დაივიწყებენ, მრავალპარტიული პარლამენტის ატმოსფეროში დამკვიდრდებიან და თავიანთ ცოდნას და ჭკუას, ქვეყნის, ხალხის კეთილდღეობას მოახმარენ, სადაც არ იქნებოდა მეცამეტე გოჭები, წინამორბედების მიერ დანაშაულები კარგი საქმეების უარყოფელი და უნიჭო გამგრძელებლები, ხალხს გაღალატებულებს არ წაიყვანენ და ქვეყანაში ალიაქოთს არ გამოიწვევენ.

ყველა, როგორც ერთი, ნაციდეთ არჩევნებზე, ხმა მივცეთ ჩვენ მიერ აღიარებულ კანდიდატს – ვადამდელ არჩევნებს და საარჩევნო ბიულეტენზე შემოვხაზოთ მისი ნომერი. წინ – ვადამდელი არჩევნებისკენ!

ოთარ შონია,
არქიგექტორი
(ბ. 239-05-92)



P.S. ჩემი ვარაუდით, 2021 წლის ადგილობრივი არჩევნებში „ქართული ოცნება“ ამომრჩევლების ხმების 35 პროცენტს მიღებს. 25 პროცენტამდე ექნება „ნაციონალურ მოძრაობას“.

ახლადმოვლენილი პოლიტიკოსების მიერ შექმნილი პარტიის კანდიდატები ყოფილი „ნაციონალური მოძრაობიდან“ – „მესამე ძალა“, „ქართული ოცნებიდან“ – პარტია „საქართველოსთვის“, აგრეთვე „ევროპული საქართველოდან“, „ლეიბორისტული პარტია“, „ლელო – საქართველოსთვის“, „ევროპელი დემოკრატები“ 2-3 პროცენტს თუ შეწვდებიან, დანარჩენს პატარა პარტიები და მათი პაჭუა-ცხვირანული ლიდერები მიიღებენ.

პროცენტები პარტიებზე, ამომრჩეველთა თვალთვალის დახმარებით, სამშობლოსადმი განეული ღვანლის შესაბამისად განაწილდება.

ო. შ.



საჯარო რეესტრის საბუნტო სტუდენტები დაასაქმა

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის 70-მდე სტუდენტი დასაქმდა. სტუდენტები მინის სისტემური რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში, რეგისტრატორის პოზიციაზე შეირჩნენ.

მინის სისტემური რეგისტრაციის სამუშაო პროცესებში ჩართვამდე ახალი თანამშრომლები თემატურ სასწავლო კურსს გაივლიან. კურსის ფარგლებში ისინი სპეციფიკურ იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას მიიღებენ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საქართველოს ყველა აკრედიტებულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობდა, რის შედეგადაც არსებული 170-მდე აპლიკანტიდან, კომისიამ 69 სტუდენტი შეარჩია. ასევე, აღსანიშნავია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას არაერთ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელთან და მომავალშიც განაგრძობს სტუდენტების დასაქმებას.

ირაკლი ჟორდანიას, ცნობილ მეცნიერს, ბრწყინვალე ინჟინერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს საინჟინრო აკადემიის, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის და რუსეთის საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს, ლენინური პრემიის ლაურეატს 2021 წლის 17 სექტემბერს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა. იგი იყო ყველა ასეთის საყვარელი და პატივსაცემი პიროვნება, არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც უანგაროდ და თავდადებით ემსახურა მეცნიერების წინსვლასა და ეკონომიკის აღმავლობას, ადამიანი, რომლის ბიოგრაფია მჭიდროდაა დაკავშირებული დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასთან.

ირაკლი ჟორდანიას დაიბადა 1931 წლის 17 სექტემბერს ქ. თბილისში, ნინო მინდელის და სერგი ჟორდანიას ქართულ კლასიკურ ინტელიგენტურ ოჯახში.


1950 წელს თბილისის მე-2 ვაჟთა სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სდებდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის იმ დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული – მეტალურგიის ფაკულტეტის სტუდენტად.

აკადემიკოსმა ირაკლი ჟორდანიამ რთული და ამავდროულად საინტერესო გზა გაწვინდა. მისი ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იშრომოს თითოეულმა ქართველმა. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობამ, სადაც იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1955 წელს მივიდა, დაიწყო მუშაობა ჯერ მუშის, შემდეგ ცვლის უფროსის, მილსაგლინავი საამქროს უფროსის მოადგილის და ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსის, მეტალურგიული კომბინატის დირექტორის თანამდებობებზე, მისცა პრაქტიკული მეტალურგიის უდიდესი გამოცდილება და გამოამუშავა მისი, როგორც ხელმძღვანელის დიდი ორგანიზატორული ნიჭი. ირაკლი ჟორდანიას აქტიური მონაწილეობით რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში არსებული მრავალმილიონიანი ღირებულების უწყვეტი ჩამოსხმის აგრეგატი, რომელიც აწარმოებდა ფოლადის ფურცლის ნამზადს – სლაბს, გადაყვანილ იქნა მილნამზადის წარმოებაზე და დაიწყო ურთულესი პროცესი დიდი დიამეტრის თხელკედლიანი უნაკერო მილების ავტომატურ რეჟიმში საწარმოებად.

ორგანიზატორული საქმიანობის ალღო და უნარი უყურადღებოდ არ დარჩენია ჩვენი ქვეყნის მთავრობასა და ხელისუფლებას. ამას მოწმობს მისი შემდგომი შრომითი საქმიანობის ეტაპები, ჯერ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, სადაც იგი წარმატებით მუშაობდა განყოფილების უფროსად, შემდეგ კი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე (1976-1984 წლებში).

აკადემიკოს ირაკლი ჟორდანიას, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის ორგანიზატორის პოტენციალი და შესაძლებლობანი განსაკუთრებით ნათლად წარმოჩინდა 1984 წელს საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე, სადაც იგი 1989 წლამდე, ხოლო 1990-1993 წლებში საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების მინისტრის თანამდებობაზე მუშაობის დროს. მისი ინიციატივით, პირველად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, 1992 წელს გაცემული იქნა საქართველოს პირველი პატენტი და ამჟამად იმის შემდეგ ეროვნული საპატენტო სამსახური „საქპატენტი“; ასევე ბატონი ირაკლი ჟორდანიას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საქართველოში უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის ცენტრალიზებული სისტემა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 6 აპრილის №406 დადგენილებით შეიქმნა სწავლულ ექსპერტთა საბჭო; წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი.

ბატონი ირაკლი მალაღი ზნეობა, პატიოსნება და სამშობლოს სიყვარული შუამდგომელი არ დარჩენილა საქართველოს ფართო საზოგადოებასთან. ამას ადასტურებს 1989 წელს ეროვნული მოქალაქის აღზავნის ჯანდაცვის მინისტრის ირაკლი ჟორდანიას სახელმწიფო პრემიის დაჯილდოება.



დიდებული მეცნიერი და მამულიერი

აკადემიკოს ირაკლი ჟორდანიას ბასენება

მისი თანამდებობაზე და შუამდგომელი მისი ხელმძღვანელობით ახ ურთულესი პირობებში წარმატებით ნამუშაოებზე არჩევნებას.

სახელმწიფო საქმიანობას აკადემიკოსი ირაკლი ჟორდანიას წარმატებით უთავსებდა ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლითონთა წნევის დამუშავების კათედრის პროფესორის თანამდებობაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ლითონების უწყვეტი ჩამოსხმის ლაბორატორიის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარედ, მთავარ მეცნიერ თანამშრომლად მუშაობის დროს. მისი ხელმძღვანელობით დატანილი იქნა არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, რაც მის პედაგოგიურ ნიჭიერებაზე მეტყველებს. მისი ნაყოფიერი მეცნიერული შრომის შედეგად სრულიად ახალი მეცნიერული მიმართულებების – ლითონების უწყვეტი ჩამოსხმის პროცესების და ტექნოლოგიების შექმნა, რომლის ჩამოყალიბების მამამთავრად შეიძლება ჩაითვალოს. ამის დასტურია 180 სამეცნიერო ნაშრომი, 20 ფუნდამენტური მონოგრაფია და 12 საავტორო მოწმობა და პატენტი, რაც ბა-

ტონი ირაკლის დაუღალავი შრომის ნივთიერ ნაყოფს წარმოადგენს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ დიდად დააფასა ირაკლი ჟორდანიას დამსახურება და ღვაწლი მეცნიერების წინაშე და 1988 წელს – აკადემიის ნევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წელს ნამდვილ ნევრად აირჩია; 2005 წელს ი. ჟორდანიას ხდება აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, 2016 წელი კი იგი არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთავარ აკადემიკოს-მდივნად. პარალელურად იგი 2014 წლიდან იყო აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების კომისიის თავმჯდომარე და შემდგომში ცენტრის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

1978 წელს ი. ჟორდანიას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება. იგი იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი. 2001 წელს აირჩიეს საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო 2015 წელს – რუსეთის საინჟინრო აკადემიის ნამდვილ ნევრად. იგი დაჯილდოებულია საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ოქროს მედლით, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი აგრეგატ „400“-ის კომპლექსური ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის დაჯილდოვდა და ლენინური პრემიით, ასევე სახელმწიფო ორდენებით, მედლებითა და ჯილდოებით, ორჯერ იქნა არჩეული უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1996 წელს ბატონი ი. ჟორდანიას ინიშნება სახელმწიფო პოლიტიკური კომპანია „საქსამთომეტალურგის“ პრეზიდენტად.

აღნიშვნის ღირსია ბატონი ირაკლი ჟორდანიას მოღვაწეობა საქართველოს ბუნებრივი რესურსების კვლევის სფეროში, რასაც საფუძველი 1997 წელს ჩაეყარა, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით იგი არჩეული იქნა ამავდროულად არსებული საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარედ, შემდგომში სსიპ „საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის“ დირექტორად, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე სამეცნიერო საბჭოს ედგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებასარგებლობის სფეროში როგორც რეგიონულ, ისე დარგობრივ მასშტაბში. კვლევის შედეგები აისახა 2015 წელს გამოცემულ ფუნდამენტურ ორტომიან ნაშრომში „საქართველოს ბუნებრივი რესურსები“.

ბატონი ირაკლი თავისი შრომითი საქმიანობის ნაბიჯები დროს და ნაბიჯები ეტაპზე ყოველთვის სარგებლოდა თავისი კოლეგების, კოლეგებისა და მეგობრების ღვაწადში პატივისცემითა და დიდი სიყვარულით, ამას განაპირობებდა მისი მაღალი პროფესიონალიზმი, სამიანადმი სიყვარული, ღრმა მეცნიერული ცოდნა და მდიდარი ინჟინერული გამოცდილება, უზადო პატიოსნება, თავმჯდომარეობა და კანტონიზაციისა, განსაკუთრებული ყურადღება მეგობრებისა და კოლეგების მიმართ – თვისება, რომელიც განუყოფელი იყო მისი პიროვნული ხიზლისაგან.

ცნობილი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის ირაკლი ჟორდანიას სახელის უკვედაცხადებდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის № 161 განკარგულებით, კრწანისის რაიონში მდებარე ერთ-ერთ უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ შენობას მიენიჭა სახელმწიფო მოღვაწის, აკადემიკოს ირაკლი ჟორდანიას სახელი.

აკადემიკოს ირაკლი ჟორდანიას თანამოაზრეები, მეგობრები და კოლეგები პატივს მიაგებენ ამ დიდებული პიროვნების, სასიქადულო მამულიშვილის, ბრწყინვალე ინჟინრის, ღვაწლმოსილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სსოვნას და იმედს გამოთქვამენ, რომ მისი ნამოღვაწარი მომავალშიც ბევრ სიკეთეს მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, სტუ-ს ირაკლი ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი.

წამლების ზღვარდაგდასულმა გაძვირებამ საქართველოში შავი ბაზარი გააძლიერა. მოქალაქეები, განსაკუთრებით, ვისაც ძვირადღირებული წამლის ყიდვა ესაჭიროება, იძულებულია შეეცადონ სააფთიაქო ქსელების გვერდის ავლით იყიდოს, ან თუნდაც მეზობელი ქვეყნიდან ჩამოიტანოს, სადაც ფასი 3-ჯერ დაბალია. ეს ეხება ფაქტობრივად ყველა დასახელების ანაბალს, რომელიც ქართულ სააფთიაქო ქსელებში 400%-იანი ფასნამატით იყიდება და სპეციალისტების, ასევე მთავრობის წევრთა მხრიდან გამოთქმული კრიტიკის მიუხედავად, ამ პრობლემას ვერაფერი ეშველა.

მთავრობავ, როდემდე?!

წამალი - 400-პროცენტითი ფასნამატით! შავი ბაზრის წილი ფარმაცევტული სექტორის 15 პროცენტს აღწევს

წამლები კი შემოდის ყველა გზით და არხით, რაც კი შეუძლებელია გამოყენებულ იქნას – საქართველოში მოძრავი ტრაილერების მძღოლების მუშაობის გამო, მგზავრების პატარ-პატარა ჩანთებით, საბაჟოების გავლითაც, მათ შორის, ოკუპირებული რეგიონებიდანაც. ჯანდაცვის ეკონომისტის, პროფესორ **ქანა ჯაყელი** ინფორმაციით, შავი ბაზრის წილი ბოლო პერიოდში 15%-მდეა

გაზრდილი. „ფარმაციის ბაზარზე შავი კაპიტალი ბრუნავს, ეს ყველაზე დიდია, ინფორმირებულთა მთავრობაც. ის, რომ მაღალი მოთხოვნის ფონზე იმპორტი იკლებს, დიდწილად სწორედ შავი ბაზრის გაძლიერებით არის განპირობებული, რადგან ის იმპორტს კონკურენტის უწევს. განუზაფხველი საქონლის შემოტანა აწყობთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ სფეროში საქმიანობენ. ამას ეწოდება ფაქტობრივად შავი კაპიტალის ბრუნვა, რომელიც დღეს გაცილებით მომგებიანია ფარმაცევტულ ბაზარზე. მისი წილი, სულ მცირე, 15%-ით არის გაზრდილი ბოლო პერიოდის განმავლობაში. რისკი დიდია, რომ მომდევნო პერიოდში ეს მაჩვენებელი კიდევ მოიმატებს. ამას უნდა ებრძოლოს საბაჟო სამსახურმა, აეროპორტებისა და სასაზღვრო სამსახურის ნებისმიერმა ქვედანაყოფმა, რადგან ასეთი წამლები შემოდის ჩვეულებრივი ჩანთებით და სხვა არხების საშუალებით, რაზეც ცნობილია“, – ამბობს ჯაყელი.

№ 8 83

საქართველოს ყველა მხარე თავისებურად მიმზიდველი და გამორჩეულია, გნებავთ, ისტორიული წარსულით, გმირი წინაპრებით, სახელოვანი, ღირსეული მამულიშვილებით, რითაც დამსახურებულად ამაყობს დღევანდელი თაობა. დაუფიქრებია მთისა და ბარის ერთმანეთთან შერწყმის, მთიდან მომდინარე მჭექვარე მდინარეების თუ მდვის გაღვლეების „დაპირისპირება“...

ამას მიმატებული მთისა და ბარის სუბტროპიკული ჰავის ყოველდღიური სუნთქვით გამოწვეული სიამოვნება. აქ ცხოვრება და შრომა ყველა ასაკის ადამიანს უფრო ჯანმრთელს და გამრჯავს ხდის... როგორც პოეტი ამბობს, „ეს ჰაერია, ეს სუნთქვაა ჩემი ქონება, და ეს ქონება თქვენ ხუმრობა ნუ გეგონებათ“...

საქართველოს მაღალმთიანეთში – სვანეთში, აჭარაში, კახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, მცხეთა-მთიანეთში, მესხეთ-ჯავახეთში, შიდა ქართლში, სამეგრელოში სულ წარმოდგენილია 22 რეგიონი, რომლებიც მთის პირობებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს ინარჩუნებენ.

თითოეულ მათგანზე, მათ გვირუკულ წარსულზე განუსაზღვრელად შეიძლება ილაპარაკო. განუმოხველია მთის მოსახლეობის როლი საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში. როცა ქვეყანა ვერ უმკლავდებოდა მრავალრიცხოვან შემოსევებს, მშვიდობიანი მოსახლეობა მთას აფარებდა თავს, ძალ-ღონეს იკრებდა და ერთიანი ძალით ანადგურებდა მტერს.

მიუხედავად ბოლო წლებში ქვეყანაში გატარებულ სერიოზული რეფორმებისა, მაღალმთიანეთის დიდი გასაჭირი უდგას. მე შევეცდები ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონის ლენტეხის მაგალითზე მოგიხსნათ.

ეს რაიონი მთლიანად მაღალმთიანი ზონაა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით თუ სხვადასხვა ბუნებრივი, სტიქიური მოვლენებით. მისი სოფლების უმრავლესობა – ზესხო, ცანა, მუნდი, ყორულდაში, ჩუკული, ბავარი, მახაში, შვედი, მოქცეულია ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მეტ სიმაღლეზე და იგი ევროპაში ცნობილ მესტიის მაღალდასახლებულ სოფლებს, უმგულსა და ხალდეს უთანაბრდება.

არ მინდა, გადავღალო მკითხველი თუ დღევანდელი სახელმწიფო სტრუქტურების სხვადასხვა შტო, მაგრამ მოკლედ მინდა ლენტეხის წარსულზე რამდენიმე ფაქტი შეგახსენოთ.

ლენტეხი ყოველთვის მტკიცედ იცავდა მთის ადათ-წესებს, რომელიც განსაზღვრულია ქართველი კაცის ზნეობრივ სინამდვილეში, ქვეყნის თავდადებასა და ერთგულებაში. რაიონში ბევრია წმინდა ადგილი, მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ სოფელ ფაყში, სკალდის მთაზე აღმართული წმინდა გიორგის ეკლესია დათარიღებულია მე-12 საუკუნით, სვანი წინაპრების გადმოცემით იგი აშენებულია თამარ მეფის მითითებით და ტაძარს წმინდად ინახავენ. ყოველ წელს, ივნისის თვეში, სვანი ვაჟკაცები მზის ამოსვლამდე ამოასვენებენ საუკუნეების განმავლობაში სათუთად შენახულ წმინდა გიორგის ოქროს ხატს და მის წინაშე ლოცავენ ჩვენს ხალხს სამშობლოს, ოჯახებს, მათ კეთილდღეობას. დღის ბოლოს იმართება სვანური სუფრა. დიდი სიძარბასლით და წმინდა გულით ლოცავენ ერთმანეთს, მსჯელობენ ქვეყნის ჭირ-ვარამზე, წარსულსა და მომავალზე.

საკმარისია გავიხსენოთ უახლესი ისტორია, როდეს



ნუ დაპირიწყებით ლენტეხს, საფიქსარს!

საც ფაშისტური გერმანიის საფრთხე შეექმნა კავკასიას და მათ შორის საქართველოს, მესტიისა და ლენტეხის მოსახლეობა ერთ მუშტად შეიკრა. მთავარსარდლის დავალებით საქართველოში ჩამოვიდა ლაგერენტი ბერია, რომელმაც საოცარი ორგანიზატორული ნიჭით და სამხედრო სტრატეგიის გათვალისწინებით, შექმნა მტრის გამანადგურებელი ბატალიონები. მასში გაერთიანდნენ მესტიის და ლენტეხის ცნობილი მამაცი ალპინისტები, რომლებმაც მთლიანად ჩავეტეს შემოსასვლელი ხეობები. მათ წინააღმდეგობას უწევდა პიტლერის სპეციალური ბრძანებით შექმნილი ევროპის სპორტსმენ-ალპინისტთა დივიზია „ედელვაისი“. გერმანელთა საჰაერო ძალებს არ მიეცათ საშუალება გადმოეღობათ საქართველოს საზღვრები და ისინი უკლებლივ გაანადგურეს. მართალია, ამ ბრძოლაში მონაწილეობდა სამხედრო ძალაც, მაგრამ მთავარი როლი მაინც ვაჟკაცმა სვანებმა შეასრულეს, ბევრი მათგანი გმირულად დაეცა კავკასიის ბრძოლებში. დიდება მათ სახელებს.

ყველაფერი ეს დამაჯერებლად მოთხრობილი აქვს თავის წიგნში საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარეს, ცნობილ პიროვნებას, ლენტეხელ გრიგოლ (გრიშა) ონიანს.

მშვიდობიან წლებში ლენტეხის რაიონმა ხელი მოჰკიდა სწავლა-განათლებას. რაიონის განათლების მაშინდელი ხელმძღვანელობა დამსახურებულ პედაგოგის ერაჯ ხაბულიანის თაოსნობით სწავლისადმი ინტერესს უწერდა მომავალ თაობას. ზამთრის რთულ პირობებში ფეხით, ცხენით გადაადგილდებოდა თითოეულ სოფელში, უმნიშვნელო, უანგაროდ დახმარებას უწევდა სკოლის პედაგოგთა კოლექტივებს. შედეგად არ დააყოვნა, ბატონ ერაჯს გვერდით დაუდგნენ ძლიერი პიროვნებები – ბატონი გრიშა ონიანი, შემდგომში ლენტეხის განათლების განყოფილების გამგე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა თბილისის 62-ე საშუალო სკოლის დირექტორად, სკოლაზე ბევრი სახელოვანი ადამიანი აღუზარდა ჩვენს ქვეყანას. მარტო ნონა გაფრინდაშვილის სახელი რად ღირს.

დღესაც დიდი სიამაყით იხსენებენ განათლების ფრონტის მესვეურს ბატონ დავით პირველს, რომელმაც რაიონში წლების განმავლობაში იმოღვაწა; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ჯუნის ონიანს, ჯობე ონიანს, ინ-

დიკო ჩანქსელიანს, სკოლის დირექტორებს პიმენ ხვისტანს, ბაჭი ონიანს, კოსტა მუსელიანს, შურა ონიანს, ჯოკია ლიპარტელიანს, ნოდარ პირველს, ლენტეხის საშუალო სკოლის დირექტორს ქალბატონ ციალა ტვილდინს, სასაშის საშუალო სკოლის დირექტორს ვიტალი ონიანს, რცხმელურის საშუალო სკოლის დირექტორს გელბახიანს, ყველაზე მაღალ და შორ სოფელში – ცანის მწიანის სკოლის დირექტორს გელბახიანს, ქოჩქიანს, სპორტსკოლის დირექტორს ავთანდილ გუგავას და სხვ.

დიდი პატივისცემის ღირსია დაწყებითი კლასის პედაგოგები, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ დაუბრუნდნენ მშობლიურ რაიონს – ქალბატონები თალიკო გულბიანი, კლავდია გაზდელიანი, ელენე მუსელიანი.

სწორედ ამ ადამიანების ნიჭიერებამ და დაუღალავმა შრომამ შექმნა საფუძველი ლენტეხში 50-60-იან წლებში აღზრდილიყვენ ყველა სფეროში თვალსაჩინო პიროვნებები. ესენი არიან მეცნიერებაში აკადემიკოსი თენგიზ ონიანი, რომელმაც მსოფლიოში ცნობილი ფიზიოლოგის ივანე ბერიტაშვილის შემკვიდრებამ ჩაიბარა, ნიადაგმცოდნეობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ოთარ ონიანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რესპუბლიკის მთავარი კარდიოლოგი დავით ტვილდინი, პროფესორი ჯემალ ონიანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი შურა ონიანი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი შურმან ონიანი.

80-იან წლებში რაიონში ჩამოსულ სტუმრებს ასე მიგაბრძანებდნენ: თქვენ იმყოფებით მცენიარების სოფელში, რადგანაც სულ 260 კომლიდან ამ სოფელში, აღიზარდნენ სხვადასხვა სპეციალულის მცენიარებათა სუთი კანდიდატი, მცენიარებათა სუთი დოქტორი და ერთი აპადემიკოსი.

80-იან წლების საქართველოში ყველაზე ცოცხალი იყვნენ და მოღვაწეობდნენ სხვადასხვა სფეროში. ეს ბაზალათი ცენისწყლის ხეობაში ერთ-ერთი ულაგაზის სოფელი – სასაში.

ყველა სოფელში ფუნქციონირებდა სპორტული წრე, რამაც საშუალება მისცა სპორტული სკოლის დირექტორს, ბატონ ავთანდილ გუგავას, ქართული ალპინიზმის ერთ-ერთ მედროსეს, დიდ ორგანიზატორს, ცნობილ ალპინისტს ჯოკია გუგავას, სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს ბუხულა ჯანხოთელს, გელა გუგავას ფართოდ გაეშალათ მუშაობა სპორტის ყველა სახეობაში წარმატებების მისაღწევად. ლენტეხის რაიონში დაბადებული და აღზრდილი ფალავნები მსოფლიო ასპარეზზე იცავდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის და საქართველოს ღირსებას. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჯიბლონი ნიჟარაძე, ევროპის ჩემპიონი დილარ ხაბულიანი, ევროპის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების მონაწილე ოლეგ ზურაბიანი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონები კახა ქურასბედიანი, ანზორ ქურასბედიანი, მკლავჭიელი დათო მუსელიანი და სხვ.

ევროპის ჩემპიონი ბერდია გუგავა თავისი ოჯახით დაბრუნდა რაიონში და მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა ძიუდოს რაიონული სკოლა. სამაგალითო იყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ფოლკლორული სახალხო ანსამბლის უცვლელი ხელმძღვანელი, ლობთარი ჯოკია მეშველიანი.

ქორეოგრაფი შური ბენდელიანი, გელა გუგავა და ლამაზ ქოჩქიანი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ სვანური ფოლკლორული სიმღერების აღსადგენად. ლენტეხში დაბადებული და აღზრდილი ლატავრა ფოჩიანის მსოფლიოში აღიარებული ანსამბლის შემადგენლობაში გაეღვება რად ღირდა.

ყოველწლიურად იზრდებოდა მშრომელი სვანი კაცის



ლენტეხის რაიონი – 1980 წელი. თალიკო დევიდარიანი მუხრანოვის მოწინავე დევიდარიანი.

შრომისმოყვარეობა, სამეურნეო საქმიანობაში ჩართულობა. მეურნეობებში, მეცხოველეობის ფერმებში, საკვებმომწოდებლობაში 6-ათასზე მეტი შრომისუნარიანი ადამიანი მონაწილეობდა და იყო დიდი დაინტერესება და შეჯიბრი ახალ-ახალი წარმატებების მისაღწევად. მარტო სახელმწიფო სექტორში 12,500 მსხვილფეხა პირუტყვი ირიცხებოდა. 14.500 მსხვილფეხა პირუტყვი მოსახლეობას ჰყავდა.

20-ათასზე მეტი ფუტკრის ოჯახი ირიცხებოდა სამეურნეობათშორის გაერთიანებაში (დირექტორი ბიჭი ფურელიანი).

რესპუბლიკაში პირველად ლენტეხში შეიქმნა ნუტრიენტების დიდი გაერთიანება, რომელიც იძლეოდა ძვირფას ტყავს (დირექტორი და ინიციატორი ზოოტექნიკოსი ბათალბეგ ონიანი), ყველა მეურნეობაში ფუნქციონირებდა მელიორების ფერმა. მზადდებოდა 2500 ტონა ხორცი, 3000 ტონაზე მეტი რძე, რომელიც საუკეთესო იყო თავისი ხარისხით. მთის ალპურ ზონაში საკვებმომწოდებლები ამზადებდნენ 20 ათას ტონაზე მეტ საკვებს. მარტო ფირუზ ონიანი 60 ტონას ამზადებდა. ზესხოში, ცანაში, ყორულში, დაშში, ნაულში, მახაშში, შვედის ზედა უბნებში, მუნღში, ტვიბში, ჩინარეში, სასაშში ბევრი იყო კარტოფილის პლანტაციები, რომელიც მაღალხარისხიან კარტოფილს იძლეოდა.

ყოველდღიურად ლენტეხის სკოლებში დადიოდა 3000-მდე გოგო-ბიჭი. ისინი სიამოვნებით ეუფლებოდნენ სწავლა-განათლებას, ენოდნენ ჯანსაღ სპორტულ ცხოვრებას.

ერთი სიტყვით, ნამდვილი სისხლსავსე ცხოვრება სუფევდა.

ლენტეხის რაიონში ყოველწლიურად იზრდებოდა წარმატებები. ადამიანები დიდი დაინტერესებით შრომობდნენ ყველა სფეროში, განსაკუთრებით მეცხოველეობაში დასაქმებულები, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ დიდ სამუშაოებს ასრულებდნენ. მაღალი შედეგების მიღწევა და მოკიდებული მყარი საკვების შექმნაზე. ლენტეხში გატარებული რეფორმების, მატერიალური სტიმულირების კონკრეტულმა ფორმებმა, შრომისმოყვარე ადამიანების დიდი ერთობაშიაში გამოიხატა. მოკლე დროში მთის ალპურ ზონაში გაყვანილ იქნა სათიბ-საძოვრებთან მისასვლელი სამანქანო გზები - ბოდაში, ლაბრაში, ზეინოკარში, სკიმერში, ქალიდაშის და ლაფურის მთის მიდამოებში - სულ 90 კილომეტრი.

ქალიდაშის მთის მისადგომებთან რესპუბლიკაში პირველად დამონტაჟდა ათას ორასი მეტრი სიგრძის საბაგირო გზა, რითაც მთის ალპური ზონის სათიბებიდან შეუფერხებლად ჩამოჰქონდათ მაღალხარისხოვანი საკვები. ამ და სხვა ღონისძიებებმა ლენტეხის რაიონში შექმნა პრობლემების გადაწყვეტის რეალური შესაძლებლობა. პროდუქტების წარმოება ორჯერ და მეტად გაიზარდა. დამზადებული და შენახული იქნა საკვების წელიწადნახევრის მარაგი. უახუნდრის მეურნეობის სოფელ ლურჯის მონინავე საკვებმომწოდებელმა ფირმამ ონიანმა ერთ სეზონში 70 ტონა თევზი დაამზადა, რაც ლენტეხის ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელია.

სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა მაშინ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დიდი მხრდაჭერა.

ცენტრალური კომიტეტის მდივანმა სოფლის მეურნეობის დარგში ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა ადგილზე დეტალურად შეისწავლა რაიონში არსებული მიღწევები. იგი ყოველთვის ეძიებდა სიახლეებს, მიზანსწრაფულად აფასებდა თითოეული ადამიანის შრომას. შექმნა რესპუბლიკური კომისია და სათავეში თვითონ ჩაუდგა. დანიშნულ დღეს, გამოცდილების გაზიარების მიზნით, ადგილზე განსახილველად ჩამოიყვანა მაღალმთიანი რაიონების პარტიული, სამეურნეო ხელმძღვანელები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. რაიონი დიდმა აღმავლობამ მოიცვა. ორი დღის განმავლობაში მთის ალპურ ზონაში განლაგებული მეცხოველეობის ფერმებში, საკვებმომწოდებელმა ბრიგადებში ეცნობოდნენ მართლაც ლენტეხის რიგითი ადამიანების, მეურნეთა დირექტორების გმირულ შრომას, მუშაობის შედეგები შეაჯამა ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა, თბილისში ჩამოსვლის თანავე ცენტრალურ კომიტეტს და მინისტრთა საბჭოს მიმართა ერთობლივი დადგენილება ლენტეხელთა მუშაობის განზოგადებისთვის.

* * *

დღეს სულ სხვა სურათს ვხედავთ!
არ მინდა პრიტიკული ფორმით ან ხელისუფლებაზე გადაბრუნებით გამოვხატო პირადი დამოკიდებულება. პირით, ზამთრ ალენიშნა, რომ უპაანსკანელ წლავში გავი რამ გააკითხა მთის მოსახლეობისთვის, მათ შორის ლენტეხისთვის.

აღბილობი თვითგანათლებლობა, მინია, საპრაულო, რაჭა-ლეჩხუმის და ძვამო სვანეთის რფუნაშლის აპარატი სისტემატურად ცდილობენ ხალხთან ურთიერთობით სრულყოფილ მუშაობა.

მიუხედავად ამისა, ისე, როგორც სხვა მაღალმთიან რაიონებში, ლენტეხშიც დემოკრატიის მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა. ადრე, 1990-იან წლებში, რაიონში ცხოვრობდა 14,225 მოსახლე.

დღეს ეს ციფრი შემცირდა 6000-მდე. გაქრა შრომი-

თი საქმიანობისა და ცხოვრების რიტმი, სკოლებში მონაწილეობა რაოდენობა უკვე თითზე ჩამოსათვლელია, რაიონი აბსოლუტურად მიგრაციამ მოიცვა. სვანი კაცი განსაკუთრებით გამოხატავდა მთისადმი სიყვარულს. ადრე, არც თუ ისე შორეულ წლებში არსებული მძიმე ცხოვრებისა - უგზობობა, უმუშეობა, პროდუქტების უქონლობა, თითქმის არც ერთი ოჯახი არ გაპარტახებულა.


1990 წლიდან მოყოლებული დღემდე 8-სოფელში - ცანა, ზემო ყორულში, ხერია, ჩუკული, მამი, მუნდი, ტვიბი, მახაში - არც ერთი ადამიანი არ ცხოვრობს! მართალია, იქ თითქმის არც ერთი სახლი არ დანგრეულია, მაგრამ მათ საკარმიდამოს სარეველა მოსდებია, სულიერის ჭაჭანება არ ჩანს, არ ისმის ომხანის სვანური სიმღერები „ლილეო“ და მრავალჯამიერი, დილის მისალმება „ოჩალაღდე სიმარე“ (გამარჯობა, მეგობარო) არ მოძრაობს მარხილში შებმული ხარ-უღელი, რომელიც სვან კაცს საკუთარ თავს ერჩინა...

მე ვესაუბრე ცნობილ პოეტს, ლენტეხელ ირმა ქურასბედიანს, რომელიც დიდი სიყვარულით იგონებს თავის დედულეს, სოფელ ხანეშს, ვესაუბრე აგრეთვე შვეტელ ნური გაბიანს, ქალბატონ ცაბა გაბიანს, მახაშელ როლანდ ჭელიძეს, ნაცულელ კარლო ბაკურაძეს... ისინი უდიდესი გულსიტყვილით იხსენებენ არც თუ შორეულ წარსულს, როცა ამ ადგილებში სჩქეფდა ცხოვრება.

კარგად ვიცი ჩემი ყოფილი ნაბიჯები ამ სოფლებში, მაგრამ მათი დღევანდელი ტკივილი სულ სხვაა. შვედი, მახაში, ნაცული, მუნდი, მუაში მართლაც მარგალიტივით მოსჩანს მთის მიდამოებში, მთამ დანდობაც იცის და სიყვარულიც. სწორედ ამან გადააწყვეტინა ცნობილ ქველმოქმედებს, ლენტეხში დაბადებულ და აღზრდილ ნაირა და რევაზ ხაბულიანებს თავიანთ მშობლიურ სოფელ მუნღში მე-10 საუკუნის ძირძველი ეკლესიის აღდგენა და მშენებლობა.

მათ მწყობრში მოიყვანეს სოფელთან დამაკავშირებელი ხიდი და გზა.

ბევრი აქვს მოსახლეობის დასაქმების მიზნით გაკეთებული ცნობილ სპორტსმენს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ შინაგან საქმეთა მინისტრს, დღევანდელი მოქმედი პარლამენტის წევრს, ბატონ დილარ ხაბულიანს. სწორედ მაღალმთიანეთში შექმნილი მდგომარეობის გამო, მათ შორის ლენტეხში, გადაეწყვიტა ამ წერილის დაწერა და ჩემი მოსაზრებების გამოხატვა, მთაში არსებული მძიმე მდგომარეობა მათი ადათ-წესების ზედმიწევნით დაცვა და ვაჟკაცური სული



სოფელ მუნღის მე-10 საუკუნის ეკლესია

შველას ითხოვს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი:

1. ყოველ რაიონში, მათ შორის ლენტეხში შეიქმნას გამოცდილ ადამიანთა საბჭო, სადაც შევლენ გამოცდილი, მათში ნამუშევარი, ცხოვრებაგამოცდილი ადამიანები, რომლებიც იზრუნებენ სხვადასხვა პრობლემების გადასაწყვეტად და დახმარებას გაუწევენ ადგილობრივ ხელმძღვანელობას სხვადასხვა ასაკის ადამიანების რაიონში დაბრუნების მიზნით. მით უმეტეს თითქმის ყველას გააჩნია საკუთარი საკარმიდამო. კომისია იმუშავებდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.
2. ამისთვის აუცილებლად უნდა ამოქმედდეს და კიდევ უფრო დაიხვეწოს მაღალმთიანი რაიონებისთვის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომელიც შეიცავს მთელ რიგ შეღავათებს მათში მეცხოველეობისთვის.
3. მთავარი გადაწყვეტილება ძალა, როგორც მოგვსენებათ, ახალგაზრდობაა. ამ მიზნით ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც სწავლობენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ არ გააჩნიათ ეკონომიკური შესაძლებლობა, გადაიხადონ სწავლის საფასური, გათავისუფლდნენ ან მინიმუმ გაუნახვერდეთ შესატანი ღირებულება. ეს მეტ ინტერესსა და სტიმულს შესძენდა რაიონში მათ დაბრუნებას.
4. მაღალმთიან რაიონებში და მათ შორის პირველ რიგში ლენტეხში, არსებობს რეალური შესაძლებლობა სამთო მეცხოველეობის განვითარებისთვის. მსხვილფეხა პირუტყვის ადგილობრივი ჯიშის, რომელიც გამოცდილია

და შეჩვეულია პირობებს, შედარებით ნაკლები დანახარჯებით მოგვემსხროს და რძის საუკეთესო პროდუქტებს, ადრე გაზაფხულიდან, აპრილიდან 15 ოქტომბრამდე, 6-7 თვის განმავლობაში, უნდა მოხდეს მთის ალპურ ზონაში საძოვრებზე ბუნებრივი საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფა! ვიცი, აქვე დაისმება კითხვა - მუშახელი, ახალგაზრდობა ხომ გასულია, სხვაგან ეძებს სამუშაოს!

წ. ლენტეხის რაიონი, სადაც სახელმწიფო სექტორში 12 ათასზე მეტი სულადობას ვითვლიდით, ხოლო ამაზე მეტი მოსახლეობას ჰყავდა, თავიდანვე ყველაფერს გააკეთებს და მოიქნება ენთუზიასტები, ჩაერთვებიან ყველა ასაკის ადამიანები და სიამოვნებით შეასრულებენ მათთვის სასარგებლო სამუშაოებს.

* * *

მაღალმთიან რაიონებში და ლენტეხში დიდი რესურსი არსებობს ისეთი უნიკალური დარგის განვითარებისთვის, როგორცაა მეფუტკრეობა, სვანური ფუტკრის ჯიშში ცნობილია ყველა კარგი თვისებით, მთაში გაერცვლებული მცენარეულობა, ჯანსაღი ჰაერი იძლევა იმის საშუალებას, რომ ვანარმოთ საუკეთესო თავფლი.

საქართველოში და კერძოდ მაღალმთიანეთში არსებული მდგომარეობა კარგად დასაბუთებულია აქვს გამოცემული ცნობილ მეცნიერს და დემოგრაფს ბატონ ანზორ თოთაძეს, რომელმაც არაერთი წიგნი და მონოგრაფია მიუძღვნა ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობას, მათ შორის მაღალმთიანეთსაც.

ლენტეხელთა თითოეულ ოჯახს გააჩნია ცოდნა და გამოცდილება, ესენი გასლავან ფურელიანები, ხაბულიანები, ლიპარტელიანები, ონიანები, ზურაბიანები, ჩანქსელიანები, გუგავები, რომლებიც დღემდე გამოხატავენ მეფუტკრეობის განვითარებისადმი ინტერესს.

მოგვსენებათ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას გააჩნია დიდი გამოცდილება და ინტერესი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი, რამდენიმე წლის წინ აკადემიასთან შექმნილი იყო და ეფექტურად ფუნქციონირებდა კომისია სახელწოდებით „მეცნიერები სწავლობენ სვანეთს“, მასში გაერთიანებული იყო სხვადასხვა დარგის და რანგის ცნობილი მეცნიერი, ისინი სისტემატურად ჩამოდიოდნენ ადგილზე და თავიანთი რჩევებით ხელს უწყობდნენ რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და მისი ისტორიული წარსულის წარმოჩენას, კომისიას წლების განმავლობაში უნარაიანად ხელმძღვანელობდა ღირსეული მამულიშვილი, დიდი პატრიოტი, აკადემიკოსი შოთა ძიძიგური. ანალოგიური კომისიის შექმნა დღეს განსაკუთრებულად შეუწყობდა ხელს გაჭირვებაში მყოფი რეგიონების, მათ შორის ლენტეხის რაიონის აღორძინებას.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელსაც გააჩნია დიდი შესაძლებლობა მთის რაიონებში კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად იმედი გვრჩება, რომ აქტიურად ჩაერთვება და შეიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს, მათ შორის ჩვენ მიერ ზემოთ დასმული საკითხების მოსაგვარებლად.

მივმართავთ ყველა ღირსეულ ლენტეხელს გამოიჩინონ ინიციატივა, თვითონ ჩაუდგინონ სათავეში მოსახლეობის დაბრუნების ორგანიზაციას.

მოახსენებთ თავიანთი მშობლიური საკარმიდამო ადგილები, წლის სხვადასხვა დროს, შესაძლებლობების პირობებში, იცხოვრონ და ამით წახალისონ ახალგაზრდობა, რითაც შეიქმნება ერთიანი სულისკვეთების ატმოსფერო.

დარწმუნებული ვართ, ამ მნიშვნელოვან, სამომავლო მამულიშვილურ საქმეს ღირსეულად გამოეხმაურება ქვეყნის ხელისუფლება, რაც ერთერთი საფუძველი იქნება მთაში მოსახლეობის დამატების, დასაქმების და ძლიერების განმტკიცების საქმეში. ეს ყველაფერი თავისთავად ხელს შეუწყობს მთისა და ბარის მოსახლეობის დარაზმულობას.

დაბოლოს, ჩემი სურვილი და ოცნებები სვანეთისადმი, ლენტეხისადმი, მთის თითოეული მოსახლისადმი მინდა გამოვხატო სვანი პოეტისა და პატრიოტის ირმა ქურასბედიანის გულის სიღრმეიდან ამოსული სიტყვებით:

„და თუ დროებით მოსწყდეთ ამ მიწას, სხვაგან იპოვით თავშესაფარი, ნუ დაივიწყებთ სვანეთს საფიცარს, იქ არის ჩვენი ძვალთშესალაგი“...

გურამ გუნაპა,
წლების განმავლობაში ლენტეხის რაიონის ხელმძღვანელი, საზოგადო მოღვაწე





კოვიდის და წაშლის ცეცხლი...

ანტივაქსერები ახლა გადავიდნენ იმუნიტეტის დაქვეითებაზე,

ამ დროს მთავარი ანტივაქსერი ამერიკაში სოციალური დაიღვრა კორონავირუსით!

პანდემიის ფონზე, როდესაც მთელი მსოფლიო კორონავირუსს ებრძვის და სპეციალისტები მთავარ ხსნად ვაქცინას მიიჩნევენ, მეორე მხარეს არიან ადამიანები, რომლებიც, მიუხედავად მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა, ერთგვარ კამპანიასა და ანტივაქსერულ მოძრაობებს აწარმოებენ. თუმცა, ფაქტია, კორონავირუსის ახალი შემთხვევების რაოდენობა და გარდაცვალების მაჩვენებელი, რაც მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში დასტურდება, საგანგაშოა და კაცობრიობა ამ მდგომარეობაში მეორე წელია ცხოვრობს.

ბევრი შიშობს, რომ ვაქცინა ბუნებრივ იმუნიტეტს თრგუნავს და ვაქცინაციის შემდეგ, ხელლოვანი იმუნიტეტი მოქმედებს, რომელიც დროთა განმავლობაში სუსტდება. ამიტომაც, ხდება საჭირო სისტემატურად ვაქცინაციის, რასაც სპეციალისტების ნაწილი ანტივაქსერების მორიგ მითს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ვაქცინა ადამიანის იმუნიტეტს არა თუ ასუსტებს, არამედ აძლიერებს.

აქრის შედეგად ბუნებრივი იმუნიტეტის შესუსტების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას ანტივაქსერების მორიგ მითს უწოდებს ექიმი-ინფექციონისტი **ირაკლი ხმალაძე**. როგორც მან აღნიშნა, სწორედ ვაქცინაცია არის გამოსავალი იმისა, რომ მსოფლიოში ეს პანდემია დაამარცხოს. რაც შეეხება ვაქცინის დოზის შესაძლო დამატებას, ირაკლი ხმალაძის თქმით, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ორჯერადაც აცრა შეესაძლოა არ იყოს საკმარისი ანტიბიოტიკების გამოყენებისთვის. მისივე განცხადებით, ეს არანაირ კავშირში არ არის ზემოთ აღნიშნულ ერთგვარ მითთან.

„იმუნიტეტის გაძლიერება მითხროვს გარკვეულ ენერჯიას. როდესაც ადამიანი ვაქცინირებულია, მით უმეტეს მას თუ გვერდითი მოვლენები ახასიათებს, ასეთი ადამიანები უფრო მეტად უნდა ცდილობდნენ, რომ თავი დაიზღვიონ. ვაქცინა ავითარებს მხოლოდ სპეციფიურ იმუნიტეტს. „ფაიზერის“ ვაქცინა ავითარებს როგორც სპეციფიურ იმუნიტეტს, ანუ კოვიდის საწინააღმდეგოს, ასევე არასპეციფიურ იმუნიტეტს და ადამიანი მაქსიმალურად დაცულია ამ დროს.

საუბარი იმის შესახებ, რომ პერიოდული ვაქცინაცია საჭიროა, რადგან შეიძლება ორგანიზმმა ვერ გამოიმუშაოს იმ რაოდენობით იმუნური ანტიბიოტიკები, როგორც საჭიროა, ეს ინდივიდუალურია, ადამიანების რაღაც რაოდენობას, მიუხედავად ორჯერადაც აცრისა, შესაძლოა, იმდენი ანტიბიოტიკი არ ჰქონდეს. ამიტომ, გარანტიას არც ერთი ვაქცინა არ იძლევა. ასე რომ, ვაქცინაცია აუცილებელია, რადგან ეს არის ერთადერთი გზა კოვიდისგან თავდასაცავად, სხვანაირად არ გამოვა არაფერი, სანამ არ შეიქმნება ანტიკოვიდური პრეპარატი, მანამდე შესაძლოა, მხოლოდ და მხოლოდ, ვაქცინამ გადაარჩინოს ადამიანი და კაცობრიობა.

ვინც აიცრება, ის მაქსიმალურად დაცული იქნება. აბსურდია ის, რომ ვაქცინა თრგუნავს ბუნებრივ იმუნიტეტს, პირიქით, - ვინც მაგალითად „ფაიზერით“ აიცრა, გარკვეული პერიოდი არ ემართება სხვა ვირუსული ინფექცია. ანტივაქსერები ახლა გადავიდნენ იმუნიტეტის დაქვეითე-

მეხუთე ტალღა შეღარებით სუსტი იქნება...

არ ველოდებით, რომ მეხუთე ტალღა ისეთივე მძიმე იქნება, როგორც მეოთხე, მაგრამ მოსალოდნელია, რომ შემოდგომაზე ინფორმაციული რაოდენობა მოიმატოს, - ამის შესახებ იმუნიზაციის ტექნიკურ მრჩეველთა ეროვნული ჯგუფის ხელმძღვანელმა, ივანე ჩხაიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მან აღნიშნა, რომ ევბმძიმეებს, როგორც კორონავირუსის, ასევე გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია უნდა ჩაუტარდეთ.

კოვიდსტატისტიკა

14 სექტემბრის მონაცემებით სულ ჩატარებულია 1 534 111 აცრა, - ამის შესახებ ინფორმაციას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სულ მცირე 1 დოზით ვაქცინირებულია 914 222 ადამიანი, რაც მთლიანი მოსახლეობის 32.0%-ია. სრულად ვაქცინირებულია 619 889 ადამიანი, რაც მთლიანი მოსახლეობის 21.7%-ს შეადგენს. 13 სექტემბერს 26 125 ადამიანი აიცრა. ამ დროისთვის საქართველოში კორონავირუსის 585 036 შემთხვევაა დადასტურებული. მათ შორის გამოჯანმრთელდა 548 951, გარდაიცვალა 8 287 პაციენტი.

არ არის კოვიდის თანმხლები მოვლენა. ორგანიზმში უცხო სხეულის შეყვანის მიმართ არის ხოლმე ეს დამოკიდებულება. ანალოგიური დამოკიდებულებაა ზოგიერთ ადამიანში და რელიგიურ ჯგუფებშიც ეს არის გამოვლენილი, რომ ნებისმიერი ხელოვნური ჩარევა საკუთარ ორგანიზმში მიუღებელია, ზოგიერთები წამალზეც უარს ამბობენ, ანუ ყველაფერ იმაზე, რასაც მედიცინა კარნახობს.

ზოგადი ტენდენციების ფონზე, ყველაზე უმტკივნეულო არის ანტივაქსერული მოძრაობა და მან ყველაზე დიდი გავრცელება პოვა საქართველოშიც და უცხოეთშიც. ქორი ხშირად არის ანტივაქსერული განწყობების წინა საფუძველი და ამის ფონზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ხელოვნურად ხელშეწყობილი პროცესიც არის, - თქვა საყვარელიძემ.

მისივე თქმით, ამ ყველაფრის ფონზე, ადამიანები ვერ გარკვეულან, რა გააკეთონ, ხოლო მთავრობას საზოგადოებასთან კომუნიკაციის და განმარტების პრობლემა აქვს და მნიშვნელოვანია ამ კუთხით მუშაობა.

ციფრებით უნდა იყოს ნაჩვენები და უკვე გაჩნდა ასეთი რაღაც, რომ ვაქცინირებულს თუ შეეყარა კოვიდი, გაცილებით მსუბუქი ფორმით აქვს და სიკვდილიანობა ნაკლებია. ვაქცინის გარეშე, ადამიანებში კოვიდი უფრო მძიმე სურათს იღებს და ა.შ. იმდენად არაპროგნოზირებადია ეს კოვიდი, ეს რიცხვები უნდა იყოს გამოდებული ყოველ მოსახვედში და ჩაჭვდილი ადამიანთა ცნობიერებაში, თუ გვინდა, რომ გავლენა მოვახდინოთ მათ განწყობებზე, - განაცხადა საყვარელიძემ.

ნიკო ჩოხელი

ბაზე. ამ დროს გავიხსენოთ, რომ მთავარი ანტივაქსერი ამერიკაში, ცოტა ხნის წინ დაიღვრა კორონავირუსით, - განაცხადა ირაკლი ხმალაძემ.

ამავე პოზიციაზეა ექსპერტი ჯანდაცვის საკითხებში აპაკი ზომიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ვაქცინის შემდეგ, ადამიანის ორგანიზმში წარმოიქმნება ანტიბიოტიკი, რომელიც კორონავირუსს ებრძვის. მისივე თქმით, კავშირი ბუნებრივი იმუნიტეტის შესუსტებასა და აცრას შორის არ არსებობს და არც იმ მოსაზრებას იზიარებს, თითქოს ვაქცინის შემდეგ, ხელოვნური იმუნიტეტი მოქმედებს, რომელიც დროთა განმავლობაში სუსტდება.

„საერთოდ არ ხდება ასეთი რამ. ეს ანტივაქსერული მითებია, რომ თითქოს აცრის შედეგად შესაძლოა იმუნიტეტი დაქვეითდეს, ეს ანტივაქსერების მანიპულაციაა, რომელიც შეიძლება გაუთვითცნობიერებელ ადამიანებზე მოქმედებდეს. ჩვეულებრივ იმუნიტეტის პასუხი არის ორგანიზმის მიერ გარედან შემოსულ ანტიგენზე, ეს იქნება ანტიგენი ვაქცინით შეყვანილი, თუ ვირუსით გადაცემის შედეგად - პასუხი, თავისი არსით, ერთი და იგივეა იმუნური სისტემის. შესაბამისად, ბუნებრივი და ხელოვნური იმუნიტეტი - ეს არის სიტყვებით თამაში.

ვაქცინით გამოწვეული იმუნური პასუხი უფრო მორგებულია ვირუსზე, ვიდრე ინფექციით გადატანის შედეგად. იმუნიტეტი სხვადასხვა ტიპის არის, უფრო ზოგადი ანტიბიოტიკები წარმოიქმნება ვირუსის გადატანის შედეგად, ხოლო ვაქცინის შეყვანის შემდეგ უფრო სპეციფიური ანტიბიოტიკები - მხოლოდ ეს არის განსხვავება. კიდევ მეორე მითი არის, რომ ორი კვირის განმავლობაში ადამიანს იმუნიტეტი დაქვეითებული აქვს ვაქცინის ჩატარებიდან, ესეც მორიგი სისულელე“, - აღნიშნა აკაკი ზოიძემ For.ge-სთან.

ანალიტიკოსი **სოსო მანჯაშვიძე** თვლის, რომ ვაქცინაცია ადამიანების ერთგვარი დამორჩილებისთვის არის შექმნილი, რომ ამა თუ იმ ხელისუფალმა პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნებისთვის გამოიყენოს. იგი ეწინააღმდეგება ვაქცინაციას და აღნიშნავს, რომ „წმინდა წყლის სისულელეა“, თითქოს აუცრელი ადამიანი აცრილს საფრთხეს უქმნის.

„აბსოლუტურად დაუშვებელია მასობრივი ვაქცინაცია, მით უმეტეს ძალდატანებითი ვაქცინაცია, მრავალი მიზეზის გამო. საჭე გვაქვს პირდაპირ ღია ძალადობასთან, ძალადობის მცდელობასთან. აქ საკითხი არ ეხება ეპიდემიასთან ბრძოლას, საკითხი ეხება სწორედ პოლიტიკური კონტროლსა და ეკონომიკურ მიზნებს, - ასევე სხვა მიზეზების მიღწევის მეთოდოლოგიებს, რომელთაც სრულიად უსირცხვილოდ ახორციელებენ. საუბარი, რომ ამდენი ადამიანი იღუპება, ჩიხია და სხვა გამოსავალი არ არის, - ეს არის „ჩინური“ ტყუილი და სისულელე. რაც შეეხება შიშისგან გონწართმეულ პუბლიკას, მათ აქვთ თავიანთი არჩევანი, ძალადობა ერთი მხრიდანაა და მეორე მხრიდანაც არის მიუღებელი.

ფსიქოლოგი და ექსპერტი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ ანტივაქსერულ მოძრაობაში შესაძლოა მიზანმიმართულად დაფინანსებული ჯგუფები მონაწილეობდნენ, რომლებიც სულ უფრო მეტ ადამიანს „ითრევენ“, თუმცა, მეორე მხარეს არიან ადამიანები, რომელთაც უცხო მოვლენის მიმართ შიში აქვთ.

„უცხო მოვლენის შიში არის, რადგან ვაქცინის გამოყენების ისტორიაში ყველა ეტაპზე, ანტივაქსერული მოძრაობა ჩნდებოდა, ეს

მთავრობა, როდემდე?!

ნაგალი - 400-პროცენტული ფასნაგალი!

შავი ბაზრის წილი ფარმაცეპტული სექტორის 15 პროცენტს აღწავს



(მესუთე გვერდიდან) ჯანდაცვის ეკონომისტი ამავე დროს იმ ღონისძიებებზე საუბრობს, რაც ქვეყანამ წამლის გაიაფების მიმართულებით უნდა განახორციელოს.

„გამოსავალი უნდა გამოიხატოს მთავრობამ, ზღვრის დაწესება რთული და არაპოპულარული ნაბიჯია. უნდა შემოიღონ სპეციალური ვაჭერი ფარმაციის ბაზრისთვის, ეს იქნება ყველაზე ოპტიმალური გზა. ვაჭერი უნდა დაურიგდეს ყველა ოჯახს, სოციალური სტატუსის განურჩევლად, რისთვისაც ხელისუფლებამ უნდა ჩაატაროს მრავალჯერადი აქცია და ამის საშუალებით წამლები ხელმისაწვდომი გახდეს“.

შპსი ბაზრის არსებობით თბილისელი **მასო სხირტლაძე** მას შემდეგ დაინტერესდა, როცა შვილისთვის სიმსივნის სამკურნალო პრეპარატები დასჭირდა. პრეპარატის თითო ამპულა 4 000 ლარამდე ღირდა, რისი შეძენაც ოჯახს საკუთარი შემოსავლით არ შეეძლო.

„წამალი გვეჭირდება სასწრაფოდ, სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი პრეპარატი სააფთიაქო ქსელებში 4 000 ლარი ღირდა. სახელმწიფო ამ წამლის ხარჯს არ აფინანსებდა, ამიტომ ვცადე ადამიანური ფაქტორით მესარგებლა და სამივე ლიდერი სააფთიაქო კომპანიის ადმინისტრაციაში შევიტანე განცხადება თხოვნით, რომ ახალგაზრდა ბიჭისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წამლის შეძენაში მცირე ფასდაკლება მოხდინათ, თუნდაც 10%-ის ფარგლებში, მაგრამ ყველაფერს სასტიკი უარი მივიღე. ამის შემდეგ გადავიწყობე შავ ბაზარზე მეცადა ბედი, რაზეც მეტ-ნაკლებად ინფორმაცია მქონდა. ახლობლების დახმარებით ასეთ ობიექტს მივაგენი კიდევ, საჭირო მედიკამენტი 1500 ლარად შევიძინე, სულ 4 დაგვიტრიადა. იმ პერიოდში ეს იყო ერთადერთი გამოსავალი. მე შავი ბაზრით სულ რამდენიმეჯერ ვისარგებლე, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ქრონიკული დაავადებების სამკურნალო პრეპარატებს მუდმივად შავ ბაზარზე ყიდულობენ“, - ამბობს ვასო სხირტლაძე.

შეგახსენებთ, რომ წამლების ფასის ზღვართან დაკავშირებით ორიოდე თვის წინ თავად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი საუბრობდა. ის მოსახლეობას შეჰპირდა, რომ წამლის ფასზე ზღვარს დაანესებენ, მაგრამ ეს თემა მომდევნო პერიოდის განმავლობაში ერთხელაც არ უსხენებიათ. ამასობაში, წამლის იმპორტთან და ფასებთან დაკავშირებით საკმაოდ არასახარბიელო მონაცემებს სტატისტიკაც უკვე მერამდენედ ადასტურებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მედიკამენტების ოფიციალური იმპორტი შემცირდა, თუმცა ღირებულება გაიზარდა. კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, თუ 2020 წლის იანვარ-ივლისში, ქვეყანაში ჯამში 179,5 ტონამდე სამკურნალო საშუალება 188.5 მლნ აშშ დოლარად შემოვიდა, მიმდინარე წლის ანალოგიურ პერიოდში 161,8 ტონის ღირებულებამ 209.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან დაფასებული მედიკამენტი იყო 5,4 ტონა (203.7 მლნ აშშ დოლარი), ხოლო დაუფასოებელი - 6.5 ტონა (6.2 მლნ აშშ დოლარი). 2020 წელს ქვეყანაში მედიკამენტებზე ფასებმა დაახლოებით 14%-ით მოიმატა. განსაკუთრებით ის წამლები გაძვირდა, რომლებსაც ექიმები პაციენტებს კოვიდ-პანდემიის პერიოდში უნიშნავენ.

რაც შეეხება მიმდინარე წელს, ივლისის მდგომარეობით, ჯანდაცვის ჯგუფში ფასები მომატებულია 10.9 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილი წლიურ ინდექსში 0.85 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაზრდილია სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწყობილობის (17.9%), საავადმყოფოების მომსახურების (5.3%) და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების (5%) ქვეჯგუფებზე.

ბარი ჩიტაია



აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი, დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა მას სხვა არჩევანს არ უტოვებს, გარდა 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისა.

კითხვაზე, თუ რა გეგმები აქვს 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, დონალდ ტრამპმა უპასუხა: ვფიქრობ, არჩევანი არ გვექნება. იმ წერტილამდე მივდივართ, როდესაც არჩევანი რეალურად არ გვექნება.

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ასევე გააკრიტიკა ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია ავღანეთიდან ჯარების გაყვანის პროცესის მართვის გამო.

„როდესაც უყურებ, თუ რა მოხდა ავღანეთში, ეს ყველაზე დიდი სირცხვილია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ბაიდენი არაკომპეტენტური ლიდერია, ხოლო მისი ადმინისტრაცია ჩვენი საზოგადოების დაყოფას უწყობს ხელს“, - აღნიშნა დონალდ ტრამპმა.

სახელმწიფო მდივანი თავს იპართებს

ავღანეთში რომ დაგრჩენილიყავით, ომი კიდევ 5, 10 ან 20 წლით გაგრძელდებოდა, - განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა აშშ-ის კონგრესში სიტყვით გამოსვლისას.

„წინა ადმინისტრაციის მიერ მიღწეული შეთანხმება ავღანეთიდან აშშ-ის ყველა ჯარისკაცის 1-ლი მაისისთვის გაყვანას მოითხოვდა. პრეზიდენტს რომ თავისი წინამორბედის მიერ ნაკისრი ვალდებულებები არ შეესრულებინა, თავდასხმები განახლდებოდა“, - აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა. ენტონი ბლინკენის თქმით, უამრავმა ადამიანმა არ იცის ის შეთანხმება, რომელიც ტრამპის ადმინისტრაციამ გააფორმა.

„ამ შეთანხმების ფარგლებში, წინა ადმინისტრაციამ ზენოლა მოახდინა ავღანეთის მთავრობაზე, რათა მას 5 000 თალიბი გაეთავისუფლებინა, მათ შორის რამდენიმე სამხედრო მეთაური. გარდა ამისა, წინა ადმინისტრაციამ ჩვენი ძალების რაოდენობა 2 500 ჯარისკაცამდე შეამცირა. სანაცვლოდ, თალიბები აშშ-ისა და პარტნიორ ძალებზე თავდასხმის შეწყვეტას დათანხმდნენ“, - აღნიშნა ენტონი ბლინკენმა.

ასალი კუთხის ეხლა

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სირიის ლიდერს, ბაშარ ასადს შეხვდა. რუსული მედიის ცნობით, ასადი მოსკოვში გამოუცხადებელი ვიზიტით ჩავიდა. კრემლის ლიდერის განცხადებით, ის მოხარულია სირიელი კოლეგის სტუმრობით და ამასთან, მას არჩევნებში კარგი შედეგი მიულოცა.



გარდა ამისა, პუტინმა პრობლემა უწოდა სირიაში ქვეყნის ხელისუფლების თანხმობის გარეშე, უცხო ქვეყნის ძალების ყოფნას. 26 მაისს, ბაშარ ასადმა სირიის საპრეზიდენტო არჩევნებში მეოთხედ გაიმარჯვა. მიუხედავად ოპოზიციის პროტესტისა და განცხადებებისა, რომ არჩევნები არალეგიტიმური და მისი შედეგები - გაყალბებულია, ასადმა ქვეყნის პირველი პირის თანამდებობა მომდევნო 7 წლით ჩაიბარა.



მერკელი ევროკავშირში არაპოს უშვებს

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს ევროკავშირის წევრობის მისაღწევად დიდი გზა აქვთ გასავლელი.

სერბეთის პრეზიდენტი ალექსანდრე ვუჩიჩთან ბელგრადში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ანგელა მერკელმა აღნიშნა, რომ დასავლეთ ბალკანეთის სახელმწიფოების ევროკავშირში გაწევრიანება ევროკავშირის წევრების გეოსტრატეგიულ ინტერესებს უპასუხობს. „ჯერ კიდევ დიდი გზა გასავლელი, ვიდრე სერბეთი და მთელი რეგიონი საბოლოოდ ევროკავშირს შეუერთდებიან. ეს ჩვენი საერთო მიზანია. ჩვენ ვინც უკვე ევროკავშირის წევრები ვართ, უნდა გვახსოვდეს, რომ აბსოლუტური გეოსტრატეგიული ინტერესი არსებობს, რომ ეს ქვეყნები ევროკავშირში შევიყვანოთ“, - აღნიშნა გერმანიის კანცლერი.

მერკელმა ადრე განაცხადა, რომ დასავლეთ ბალკანეთის ექვს სახელმწიფოს - სერბეთს, ალბანეთს, ჩრდილოეთ მაკედონიას, ბოსნია-ჰერცეგოვინას, მონტენეგროსა და კოსოვოს - ევროკავშირის მომავალ წევრებად ხედავს.

მალე უწყავთი

წყალმომარაგება ექნებათ...

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, გარდაბნის ექვსი სოფლის წყალმომარაგებისთვის სისტემების მშენებლობას აქტიურად აგრძელებს.

პროექტის შედეგად, სოფლების - ზემო და ქვემო თელეთის, ახალწყალის, წალასყურის, მუსრანთელეთისა და კუმისის 15 000 მოსახლე, უწყვეტი წყალმომარაგებით პირველად ისარგებლებს. აღნიშნულ სოფლებში წყალმომარაგების სისტემები დღემდე არ არსებობს, ადგილობრივები წყალს თვითნებურად მოწყობილი ჭაბურღილების მეშვეობით იღებენ.

სამუშაოებით გათვალისწინებულია, წყალმომარაგების სრულიად ახალი სისტემებისა და რეზერვუარის მოწყობა.



ამ ეტაპისთვის სამუშაოების 70% შესრულებულია. პროექტის განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 მილიონი ლარის ინვესტიცია გამოიყო.



რთველი აქტიურ ფაზაში შევიდა

14 სექტემბერის მონაცემებით, კახეთში 100 ათას ტონამდე ყურძენია გადამუშავებული, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის დაახლოებით 40%-ია. ყურძნის დღიური გადამუშავება 10 ათასი ტონის ფარგლებშია. რთველის პროცესში დღემდე 13 ღვინის საწარმო იყო ჩართული.

კახეთში, მევენახეებმა, ყურძნის რეალიზაციით 90 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი უკვე მიიღეს. რეალიზებულია 10 ათასამდე მევენახის მოსავალი.

საქართველოს მთავრობის გადამწყვეტილებით, 2021 წლის რთველის მხარდასაჭერად, სუბსიდირების პროგრამა მოქმედებს. პროგრამის მიზანია, პანდემიით გამოწვეული ვითარება უარყოფითად არ აისახოს მევენახე ფერმერებზე და ღვინის მწარმოებლებზე, სრულად დაბინავდეს ყურძნის მოსავალი. რთველი 2021-ის ფარგლებში, სუბსიდიას მიიღებს ყველა ის კომპანია, რომელიც შეიძენს და გადამამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ არანაკლებ 100 ტონა რქანითელის ან კახური მწვანის ჯიშის ყურძენს და 1 კგ ყურძენში მევენახეს არანაკლებ 0,90 ლარს გადაუხდის.

განსახადება

სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მემანიკის ინსტიტუტი ახსნადებს ღია კონკურსს უმჯობესი სამსახური თანამდებობის დასაკავებლად:

1. მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - ერთი საშტატო ერთეული;
2. მანქანათმშენებლობის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი - ერთი არასრული საშტატო ერთეული;
3. მობილური მანქანების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - ერთი საშტატო ერთეული;
4. მობილური მანქანების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი - ერთი საშტატო ერთეული;
5. მანქანათა დინამიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - სამი საშტატო ერთეული;
6. მანქანათა დინამიკის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი - ერთი საშტატო ერთეული.

კონკურსის პირობები:

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან მის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. მიღებული შედეგების ანალიზი და სამეცნიერო ანგარიშების შედგენა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ა) განცხადება;
 - ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
 - გ) ავტობიოგრაფია (CV);
 - დ) დოქტორის, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
 - ე) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
 - ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;
 - ზ) სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
 - თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
 - ი) პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთანდაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - კ) შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).
- საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მემანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ელიზბარ მინდელის ქ.#10.
- საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2021 წლის 15 ოქტომბერი.
- დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ - სვეტლანა ჩაგელიშვილს ტ.: 593 234 025, 2 329017

მაიას თასი

კანდამიის მიუნხენაკად

14 მანდილოსანი და 12 ვაჟი იბრძოდა მსოფლიოს სუთგზის ჩემპიონის - მაიამ ჩიბურდანიძის თასისათვის, რომელსაც წლეულს 60 წელი შეუსრულდა.

საიუბილეო ტურნირი შვეიცარიული სისტემით - 8 ტურად თბილისის ჭადრაკის სასახლეში სწრაფ თამაშში გაიმართა - თითოეული პარტიისთვის 45-45 წუთი ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით - და მისი საპრიზო ფონდი 32 650 ლარი გახლდათ.

ოთხდღიანი საინტერესო პაექრობების შემდეგ მედალოსნები გახდნენ: ქალები: ევროპის 2017 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე - 6,5 ქულა, ბელა ხოტენაშვილი - 6 ქულა და ნინო ხომერიკი - 4,5 ქულა.

ჭადრაკის დედოფლები

60 მაია ჩიბურდანიძის თასი 8-11 სექტემბერი 80 გონა გაფინდაშვილის თასი 13-16 სექტემბერი 2021წ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე

კაცები: დავით ჯოჯუა - 5,5 ქულა, თორნიკე სანიკიძე, ნიკოლოზ მანაგაძე - 5-5 ქულა. ამ დღეებში იქვე ნონა გაფინდაშვილის თასიც თამაშდება, რომელიც ჭადრაკის დედოფლის ასევე საიუბილეო თარიღს - 80 წლისთავს ეძღვნება.

64

მოყვარულის ნაფიქრალი

ოთხა შონია ამოსსნა 8 7 6 5 4 3 2 1 მ ნ ც დ ე ფ გ ხ შამათი 4 სვლაში თრ.1 მეფე 2. ლჩ 3. ვქ 4. ქე 5. ქე 6. შე 1. მეფე 2. აპ 3. ვქ 4. ქე 5. ქე 6. შე

- 1. ლჩ8-ჩ1 მეფე4-ძ3 2. ლჩ1-გ2 მეფე3-ძ4 3. ლგ2-ც6 მეფე4-ძ3 4. ლგ6-ც4x თუ 2... ბგ4-გ3 3. მეფე-ც7 მეფე3-ძ4 4. ლგ2-ძ5x თუ 1. ლჩ8-ჩ2 მეფე4-თ4 2. ლჩ2-გ3 მეფე4-ძ5 და შამათი 4 სვლაში არაა. თუ 1. ლჩ8-გ6 მეფე4-ე4 2. ლგ6-ც4+ მეფე4-ქ3 და შამათი 4 სვლაში არაა.

ლეგიონარი



ტოლ-სნორკალ იბრაჰიმოვი

მსპანეთის საკალათბურთო ლიგა ენდესას შარშანდელი სეზონის MVP გიორგი შარშანიძე შესანიშნავად ჩაება წლევედელ მართონში და ქვეყნის სუპერთასის გათამაშების ნახევარფინალში, მართალია, მისი „ტენერიფე“ მადრიდის „რეალთან“ 70:72 დამარცხდა, მაგრამ პარკეტზე ორივე


გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო - 25 წუთში 21 ქულა, 3 მოხსნა, 1 დაფარება და მარგი ქმედების კოეფიციენტი - 21.

ქალაქ კრისტობალ დე ლა ლაგუნაში გამართული მინიტურნირის მეორე ნახევარფინალში „ბარსელონამ“ „ვალენსია“ დაჯაბნა - 87:68, ხოლო სატიტულო „ელ კლასიკო“ „სამეფო კლუბის“ გამარჯვებით დასრულდა - 88:83.

ალსანიშნავია, რომ მესამე პერიოდში კატალონიელები შეხვედრას 19-ქულიანი პანდიკაპით იგებდნენ, მაგრამ დარჩენილ დროში სოლიდური უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს.

ფიგურული სრიალი

მორისის „ბრინჯაო“



იტალიის ქალაქ ბერგამოში ფიგურულ ციგურაობაში ჩელენჯერის სერიის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, სადაც საქართველოს სახელით მორის ყიბიტელაშვილმა იასპარეზა.

ქართველმა მოციგურავემ მიმდინარე სეზონში პირველ ტურნირზე საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა და 17 ქვეყნის 23 მონაწილეს შორის ბრინჯაოს მედალის მოპოვება მოახერხა. ყველაშვილმა თავისუფალ პროგრამაში 3 ოთხმაგი ნახტომი შეასრულა და ტურნირის ამ ნაწილში მეორე პოზიციაზე აღმოჩნდა, ხოლო ორი პროგრამის ჯამში 236.18 ქულით საპატიო მესამე ადგილის მფლობელი გახდა. მის წინ მხოლოდ იტალიელი დანიელ გრალსა (247.80) და ფრანგ ადამ სიო პიმ ფასი (237.39) აღმოჩნდნენ.

ჩემპიონთა ლიგა

ელიტაში - მესამედ

უკვე გაუნყვთ, რომ მალე თბილისის „დინამოს“ წყალბურთელები მესამედ ჩაებმებიან ჩემპიონთა

ლიგაში, სადაც ჯგუფურ რაუნდში უძლიერეს მეტოქეებს შეხვდებიან.

მართალია, ორი მათგანის ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა, მაგრამ უკვე ცნობილია ორნაწიანი მართონის კალენდარი, რომელსაც აქვე გთავაზობთ:




რი - კვალიფიკაცია - „დინამო“. 19 ნოემბერი - „დინამო“ - „ბარსელონეტა“. 30 ნოემბერი - „დინამო“ - კვალიფიკაცია. 14 დეკემბერი - „რადნიკი“ - „დინამო“. 21 დეკემბერი - „დინამო“ - „ნოვი ბელგრადი“.

2022 წელი

11 იანვარი - „დინამო“ - „ფერენცვაროში“. 26 იანვარი - „ფერენცვაროში“ - „დინამო“. 9 თებერვალი - „ნოვი ბელგრადი“ - „დინამო“. 23 თებერვალი - „დინამო“ - „რადნიკი“. 19 მარტი - კვალიფიკაცია - „დინამო“. 30 მარტი - „ბარსელონეტა“ - „დინამო“. 8 ივნისი - „დინამო“ - კვალიფიკაცია. 15 ივნისი - „დინამო“ - „ოლიმპიკოსი“.

ოქიანის გაღმა

აბას ვინ იფიქრებდა




მოულოდნელად განვითარდა მოვლენები ჩოგბურთელთა აშშ-ის ღია პირველობის ქალთა ტურნირში, რომლის გამარჯვებულიც სეტის(!) წაუგებლად სენსაციურად გახდა 18

წლის ბრიტანელი ემა რადუკანუ. მან ფინალში კანადელი თანატოლი ლეილა ფერნანდესი 6:1, 6:4 დაამარცხა, 2,5 მილიონი დოლარი გამოიმუშავა და რეიტინგში 150-დან 23-ე(!) პოზიციამდე ალზევდა.

ალსანიშნავია, რომ ტრიუმფატორი დიდი სლემის ტურნირების ისტორიაში პირველია, ვინც ასე მალეა ძირითად ბადემდე კვალიფიკაციის გავლის შემდეგ აფრინდა.

ასევე ცოტა თუ იწინასწარმეტყველებდა ვაშებში რუსი დანილ მედევედის წარმატებას, მით უმეტეს ფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩის ფაქტორის გათვალისწინებით, მაგრამ ჩრდილოელმა ყველა პროგნოზი თავდაყირა დააყენა და სამივე სეტი 6:4 მო-

იგო. ამით სერბმა ავსტრალიელ როდ ლეივერის ნახევარი საუკუნის წინანდელი მილნევის გამეორებისა (ერთ სეზონში დიდი სლემის ოთხივე ტურნირის მოგება) და მოხვეჭილი სლემების საერთო რაოდენობით (20) ფედერერისა და ნადალის გასწრების შანსები დაკარგა.



წყალში გადაყრილი 2.5 მილიონი!

ვინ გამოკატა მულახში სპორტსკოლის კარი?

მესტიის მუნიციპალიტეტის მულახის თემში ძველი სპორტსკოლის ბაზაზე ახალი, თანამედროვე სტანდარტების სპორტული სკოლის მშენებლობა ჯერ კიდევ 2016 წელს დასრულდა, თუმცა, როგორც ადგილობრივები ამბობენ, ობიექტის ჩაბარების შემდეგ, მისი კარი არც ერთ მოსწავლეს არ შეუღია. უნიკალურ საკურორტო ზონაში არსებული ეს დაწესებულება დღემდე უფუნქციოდ არის დარჩენილი.

არადა, როგორც პარტია „საქართველოსთვის“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მულახის თემის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი და ამ სპორტსკოლის მშენებელი ზურაბ დევდარიანი გვიყვება, პროექტის განხორციელება 2, 5 მილიონი ლარი დაჯდა. სკოლის ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი, აუზი, სკოლის შიგნით - საწვრთნელი და სავარჯიშო დარბა-

ზები, ყველა საჭირო ინვენტარით. „მართო სამეკლდეურო სავარჯიშო კედელში 300 ათასი ლარი გადავიხადეთ, საუკეთესო ხარისხის ჩამოვიტანეთ პოლონეთიდან. ტატამებიც საუკეთესო ხარისხის გვაქვს. ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ აქაურ ბავშვებს ყველანაირი პირობა პქონოდათ სავარჯიშოდ და საცხოვ-



რებლად“, - გვითხრა ზურაბ დევდარიანმა. სავარჯიშო დარბაზის, გასახდელეზისა და სააბაზანოების გარდა, სპორტსკოლაში საძინებელი ოთახებიცაა მოწყობილი, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვან ფუნქციას ანიჭებს ამ შენობას. მისი გამოყენება შეიძლება სპორტსმენთა გრძელვადიანი შეკრებებისთვისაც.

„სკოლის ინფრასტრუქტურა და აქ შექმნილი პირობები საშუალებას გვაძლევს, არა მართო ადგილობრივ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, არამედ, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და ქალაქიდან ჩამოსულ სპორტსმენებს მოვემსახუროთ, გაიმართოს სპორტული შეკრებები, შეჯიბრებები. ამასთან, სპორტსკოლაში ადგილობრივი მცხოვრებლებიც დასაქმდებიან, მაგრამ ამაზე არავინ ზრუნავს. სამწუხაროდ, მეხუთე წელია, ასე მიგდებულა შენობა, რომელშიც ამდენი რესურსი

ჩაიდო და დღევანდელი ადგილობრივი ხელისუფლების პირობებში ამოქმედება არც უნერია.“ - განაცხადა ზურაბ დევდარიანმა.

ამ სპორტსკოლის ბედი დიდი ხანია აწუხებს ადგილობრივ მოსახლეობას. ვერავინ ხვდება, დღემდე რატომ არის უფუნქციოდ დაწესებულება, რომელშიც ბიუჯეტიდან ამდენი თანხა დაიხარჯა და რომელსაც მათი შვილები ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის უნდა ეზიარებინა. როგორც გავარკვიეთ, დაბა მესტიაში ერთი სპორტსკოლა არსებობს, რომელიც საბჭოთა დროსაა აშენებული და მას მერე არც ინვენტარი განახლებულა, არც სკოლა გარეუნივერსიტეტი და მისი მფლობელობაში ვერ დაიკვეთნის, თუმცა კი, ადგილობრივები გვეუბნებიან, რომ სამწვრთნელო შტაბში 136 ადამიანი რეგისტრირებულია.

საინფორმაციო, რა სახეობაა ავარჯიშავს ათიოდე ბავშვს 136 მწვრთნელი?

სსოვნა პარკლისი ბადრი ბრძილიშვილის არდავიწყება

19 სექტემბერს შენი დაბადებიდან 60 წლისთავი უნდა გვეხებოდა.

კაცისათვის ეს სიცოცხლის შუა ასაკია და არც შენ გეტყობოდა წელთა სიმრავლე.

სამწუხაროდ, ბედისწერა ზოგჯერ ულმობელია. ჩვენთან აღარ არის ბადრი ვაშლიანიძის ძე ბრძილიშვილი. ოჯახს გამოეცალა ბურჯი.

ღრმად დაამწუხრა უხუცესი მამა, ცოლ-შვილი, შვილიშვილები, ძმა, მრავალრიცხოვანი სანათესაო და დიდი სამეგობრო.

არადა, წინ კიდევ დიდი ცხოვრებისეული გზა ჰქონდა გასავლელი, როგორც ღირსეულ მამულიშვილს, მართლმადიდებელ ქრისტიანს.

ცხოვრებისეული გზა კი ღირსეულად განვლო. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქონელმცოდნეობისა და სასურსათო ვაჭრობის ფაკულტეტი. მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, შესაბამის სამინისტროში ჩადგა და ქვეყნის სამსახურში იღვანა ღირსეულად.

წინ კიდევ დიდი გზა ჰქონდა გასავლელი ოჯახის,



ქვეყნის და ერის სასიკეთოდ. დღეს ნუგეშად შენი სიკეთით განვლილი გზა და ნაამაგარი გვრჩება.

შენი სულის უკვდავება და გვარის ღირსეული ტრადიციების გაგრძელება უფლის ნებაა... არასოდეს დაგივიწყებთ!

ოჯახი.




აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმად მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერანი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის ორდენების კავალერი, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

დავით გვახარია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პროფესორ მარკუნ მჭედლიშვილის მოსაბონარი



ორმოცი დღე გავიდა ცნობილი ინჟინერ-ქიმიკოსის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მარკუნ მჭედლიშვილის გარდაცვალებიდან.

მ. მჭედლიშვილი დაიბადა 1942 წლის 30 ივნისს ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში. იმავე წელს დაიღუპა დიდ სამამულო ომში მარტენის მამა. მიუხედავად მძიმე მატერიალური პირობებისა, მან ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე.

სტუდენტობისას მ. მჭედლიშვილმა გამოამყვანა დიდი შრომისმოყვარეობა და მიზანდასახულობა, რის გამოც, ინსტიტუტის წარჩინებით დაამთავრების შემდეგ, დატოვებული იქნა არაორგანული ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრაზე სამუშაოდ. მან გაიარა ასპირანტურის კურსი, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, მოგვიანებით კი სადოქტორო დისერტაციები და ორმოცდაათ წელზე მეტი, სიცოცხლის ბოლომდე, მოღვაწეობდა მშობლიურ უნივერსიტეტში.

ბატონი მარკუნის კვლევების არეალს წარმოადგენდა მანგანუმის ლარიბი მადნების, აგრეთვე სხვა ნედლეულის (ტრაქიტები, ნატრიუმის სულფატი და სხვ.) ქიმიური გადამამუშავება ძვირადღირებული სუფთა ნაერთების მიღების მიზნით. მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა პროექტები, რომელთაგან რამდენიმე წარმატებით დაინერგა წარმოებაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. მჭედლიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი იყო სტუდენტების საყვარელი ლექტორი, რომელსაც მიჰყავდა წამყვანი კურსები ქიმიურ ტექნოლოგიაში. მასთან მუდმივად მოდიოდნენ კურსდამთავრებულნი, რომლებიც ყოველთვის იღებდნენ კვალიფიციურ კონსულტაციებს და რჩევებს ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად.

მ. მჭედლიშვილი იყო რამდენიმე გამოგონების და პატენტის ავტორი. გამოქვეყნებული ჰქონდა 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 13 სახელმძღვანელო. ხელმძღვანელობდა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს; იყო ხარისხების მიმნიჭებელი კომისიების და კოლეგიების წევრი. ბატონი მარკუნ, ამავე დროს იყო, შესანიშნავი მეუღლე, მამა, მოსიყვარულე ბაბუა და უანგარო მეგობარი.

მ. მჭედლიშვილი 79 წლის ასაკში გარდაიცვალა ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ და თან გაიყოლა ახლობლების, კოლეგების და აღზრდილების პატივისცემა და სიყვარული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

თენგიზ და ვასიკო ქავთარაძეები ოჯახებით ღრმად მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის, ღირსეული პიროვნების
**ვლადიმერ (ლადო)
ვიქტორის ძე ქავთარაძის**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ ლამარას, ვიქტორს და დათოს.



საქონლის ადგილნარმოშობის დასახელების რეგისტრაციაში ცვლილების შეტანა ქინძმარაული

(რეგ. №787; თარიღი: 30.03.2006 წ.)

5. ვაზის ჯიშები

ღვინო „ქინძმარაული“ მზადდება ქინძმარაულის მიკროზონაში მოწეული საფერავის და/ან საფერავი ბუდეშურისებურის ჯიშის ყურძნიდან. მისი წარმოებისას დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.

9. ყურძნის გადამამუშავება, ღვინის დამზადება და ჩამოსხმა

„ქინძმარაულის“ წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი მოწეული უნდა იყოს მხოლოდ ქინძმარაულის მიკროზონაში გაშენებული ვენახებიდან.

ყურძნის გადამამუშავება და ღვინის დამზადება დასაშვებია მხოლოდ კახეთის ზონის ფარგლებში, ხოლო ბოთლებში ჩამოსხმა – კახეთის ზონის ფარგლებს გარეთაც, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

ამასთან, ყურძნის გატანა ქინძმარაულის მიკროზონიდან გადასამუშავებლად და ღვინის გატანა კახეთის მევენახეობის ზონიდან ჩამოსახსმელად დასაშვებია მხოლოდ მკაცრი აღრიცხვისა და კონტროლის პირობებში.

„ქინძმარაული“ მზადდება დურდოს არასრული ალკოჰოლური დუღილის გზით. „ქინძმარაულის“ წარმოებისას დასაშვებია მხოლოდ იმ ოპერაციების, მასალებისა და ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით.

სამომხმარებლო ბაზარზე „ქინძმარაულის“ გატანა დასაშვებია მხოლოდ სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული სახით.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 8 სექტემბრის №7350/06 ბრძანების საფუძველზე, შეიცვალა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტი“ რეგისტრირებული ადგილნარმოშობის დასახელების ღვინის „ქინძმარაულის“ წარმოების სპეციფიკაცია.

აღნიშნული ინფორმაცია, „საქონლის ადგილნარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენსა და ერთ ცენტრალურ გაზეთში. მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საქპატენტში წარმოდგენილი შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. თუ 3 თვის განმავლობაში საქპატენტში არ შემოვა რაიმე ინფორმაცია აღნიშნულ მასალებთან დაკავშირებით, გამოქვეყნებული მონაცემები ღვინის ადგილნარმოშობის დასახელების „ქინძმარაულის“ შესახებ აისახება ადგილნარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სახელმწიფო რეესტრში.

სპეციფიკაციის მე-5 და მე-9 პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მოზარდმა სამი არასრულწლოვანი დაჭრა

შინაბან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს და დედუბე ჩუღურეთის მთავარი სამმართველოების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 2007 წელს დაბადებული ლ.მ. არასრულწლოვნების მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, თბილისში


დააკავეს. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 13 სექტემბერს, თბილისში დაკავებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით

მრავლობითი ჭრილობები მიყენა 2007 წელს დაბადებულ გ.ბ.-ს., 2006 წელს დაბადებულ ბ.ბ.-ს და 2006 წელს დაბადებულ გ.მ.-ს.

პოლიციამ ლ.მ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.





ჩემი დედა

ქალბატონ მანანა ბურბანაშვილი ჩვენი გაზეთის მკითხველი შარშან გათქვეყნებული წერილიდან კარგად იცნობს. იგი პრობლემების, ჩინოსანთა და მავანთა უსულგულობის გამო თავის სატყვედ გვესაუბრებოდა და მთაწმინდის მართლმადიდებელი ბატონ ლადო კახაძეს დასმარებას სთხოვდა. ქალბატონი მანანა წლებია პრესის გაგაცემას ემსახურება და სოლოლაკში, ღია ცის ქვეშ უწევს მუშაობა. ასევე შეგვიყვებოდა, რომ მისი პრობლემები ნაწილობრივ მოგვარდა, იმედიანად გრძობს თავს და მადლობას უხდის ბატონ ლადოსა და კანა კალაძეს.

მკვლევარულ ქალბატონ მანანას სვალ დაბადების დღე აქვს. ოჯახისა და ახლობლების მილოცვას ჩვენც ვუერთდებით, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ვუსურვებთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ქალბატონო მანანა.

მასწავლებლები და მოსწავლეები შელაპარაკებით ინტერნეტპლატფორმით ნელსას ისარგებლებენ

ბანათელის სამინისტროს ინიციატივით, მასწავლებლები და მოსწავლეები შელაპარაკებით ინტერნეტპლატფორმით ნელსას ისარგებლებენ. სამინისტროსა და საქართველოში მოქმედ სამ მობილურ ოპერატორს - „მაგთიკომს“, „ვიონ საქართველოსა“ და „სილქნეტს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში შელაპარაკებით მობილური ინტერნეტპლატფორმით სარგებლობას შეძლებენ.

შელაპარაკებით ინტერნეტპლატფორმის შექმნა 15 სექტემბრიდან გახდება შესაძლებელი. 20GB მაღალხარისხიანი მობილური ინტერნეტ პაკეტი 10 ლარად იქნება შეთავაზებული, რაც, სტანდარტულ ღირებულებასთან შედარებით, 2,5-ჯერ ნაკლებია.

ჩვენი სივრები და... ჯიპოტი

მინიბანის შტატი მცხოვრები ქალი 1 წლის განმავლობაში ლატარიაში ერთსა და იმავე ციფრებს ირჩევდა და მილიონერი გახდა.

51 წლის ქალის თქმით, ის ყოველკვირა ბილეთს ონლაინ ყიდულობდა, ციფრების კომბინაციას კი არ ცვლიდა. საბოლოოდ მან 1,2 მილიონი დოლარი მოიგო. ქალი აპირებს მოგებული თანხა ოჯახის წევრებს და მოგზაურობას მოახმაროს.



ბობაკის ტრადიციული გამოფენა ბერძანიაში

ბერძანიაში ქალაქი ლუდვიგსბურგი მსოფლიოში გოგონების ყველაზე დიდ გამოფენას მასპინძლობს.

გამოფენა ყოველწლიურად იმართება და მისი ორგანიზატორები სხვადასხვა ფიგურების, კომპოზიციებისა და დეკორაციების შესაქმნელად 450 ათასამდე გოგონას იყენებენ. წელს გამოფენა წყალქვეშა სამყაროს ბინადრებს ეძღვნება - როგორც რეალურებს, ასევე გამოგონილებს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.


ჩვენი ანგარიში: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ზღაპრული დღე სკოლების სანტრში

16 სექტემბერს, თანამედროვე ხელოვნების ცენტრში, „თბილისი - ნიგის მსოფლიო დედაქალაქის“ ზღაპრის დღე გაიმართება, რომლის ფარგლებშიც, ილუსტრატორ გიორგი ჯინჭარაძის მიერ, „ამირანის“ თემაზე შექმნილი პროექტი წარდგება.

ზღაპრის დღის მთავარი მოვლენა AR (Augmented reality - დამატებითი რეალობა) აპლიკაციის ონლაინპრეზენტაცია იქნება, რომლის მეშვეობითაც, ზღაპრული პერსონაჟების თანამედროვე რეალობაში გადმოყვანა შესაძლებელი. ქალბატონ დალის, ქაჯის, დევისა თუ ირმისას ავტორები, მხატვრები ანკა ბოჭორიშვილი, ვარლამ ჯმუხაძე, კვაჭი, სოფო კირთაძე, ხატია ჩიტორელიძე და ანუკ ბელუგა არიან.



აპლიკაცია უძველესი მითებისა და თანამედროვე ტექნოლოგიის ერთგვარი სინთეზია, რომელიც მომხმარებელს არა მხოლოდ გართობის, არამედ ფანტაზიის გაშვას საშუალებასაც მისცემს. გამოფენა 26 სექტემბრამდე გაგრძელდება, აპლიკაცია კი ნელ-ნელა განვითარდება და სხვა მხატვრების ნამუშევრებთან შეივსება. გამოფენა ქვეყანაში არსებული ყველა რეგულაციის დაცვით გაიმართება.

აშშ-ში მზის ენერჯიაზე სრულად გადასვლას გეგმავენ

აშშ-ში მზის ენერჯიაზე სრულად გადასვლას გეგმავენ. ენერჯის კორპორაციის გადამხრება 2050 წელს დასრულდება. აშშ-ის ენერჯის სამინისტრომ „მწვანე ენერჯიაზე“ გადასვლის ვადებზე Solar Futures-ის კვლევა გამოაქვეყნა.

კვლევების პროგნოზით, ქვეყნის ენერჯომომარაგებაში მზის ენერჯის წილი 2035 წელს 40% იქნება, ხოლო 2050 წელს 50%-ს გაუტოლდება. ამისთვის აშშ-მა მზის ენერჯის წარმოება 2025 წლამდე უნდა გააორმაგოს. ამასთან, ამ შედეგზე აშშ მშენებელი, თუ ინვესტიციების მოცულობა სექტორში 43,5 ტრილიონს მიაღწევს. 2021 წლის მონაცემებით, აშშ-ში მზის ენერჯის წილი 4%-ია.



IPHONE-ში მოტოციკლეტის არ დაამატებო!!!

ტექნოლოგიური გიგანტი Apple-ი მომხმარებლებს აფრთხილებს, მოტოციკლით მგზავრობისას, მასზე არ დაამატონ iPhone-ები.

კომპანიის გაფრთხილებაში ვკითხულობთ, რომ მოტოციკლის ვიბრაციამ, შესაძლოა, დააზიანოს ტელეფონის ოპტიკური გამოსახულების სტაბილიზაცია ან ავტოფოკუსირების სისტემა. როგორც წესი, მძღოლები მობილურებს მოტოციკლების კორპუსებზე ნავიგაციის სისტემის კომფორტულად გამოყენებისთვის ამაგრებენ.

„ნიკოლასი“ ტეხასსა და ლუიზიანას შტატებს...

ტროპიკული შტორმი „ნიკოლასი“ ტეხასისა და ლუიზიანის სანაპიროებს დაატყდა თავს. სანაპიროსთან მოახლოებასთან ერთად შტორმი გაძლიერდა და ამჟამად მას ქარიშხლის კატეგორია აქვს მინიჭებული. ქარის სიჩქარე ტეხასში საათში 120 კილომეტრს აღწევს. გამოცხადებულია წყალდიდობის საფრთხე.

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ლუიზიანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და ფედერალური დახმარების გამოყოფის განკარგულება გასცა. ტეხასის გუბერნატორმა გრეგეობტმა შტატის 17 ოლქსა და სამ ქალაქში გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. მისი თქმით, სამაშველო სამსახურები მზადყოფნაში არიან. აშშ-ის მოსახლეობის სიდიდით მეოთხე ქალაქ ჰიუსტონის მერი სილვესტერ ტერნერი მოსახლეობას სახლებში დარჩენისკენ მოუწოდებს.



ლუიზიანასა და ტეხასში ათობით სკოლა დაიხურა. გადაიდო ან გაუქმდა ასობით ავიარების ბოლო კვირების განმავლობაში „ნიკოლასი“ უკვე მეორე ქარიშხალია, რომელიც აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს დაატყდა თავს. მანამდე ლუიზიანაში ქარიშხალ „იდას“ შედეგად გარდაიცვალა 20-ზე მეტი ადამიანი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA

შპს ფრაივალს №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სვანტაა ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიანაშვილი
599 53-76-16;
ალექს
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

ბამონცემელები:
შპს „ახალი საუკუნე“ -
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანამდგომარეობა“-
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორი“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორი
ჭაუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323

2 009882 616932

ავტორთა სახურადადგომად!
რედაქციის მიერ შეუქმნათვი მასალაში დაიბეჭდება
ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაქმნა, გუდაამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე პასუხს ავებან ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 17 სექტემბერს

სრ	უსტოური ვალუტის ჯიპი: აშშ დოლარი - 3.1152; ევრო - 3.6691; ბრიტანული პირანა სტერლინგი - 4.3074; 100 რუბლი - 4.2671; თურქული ლირა - 0.3683; აზერბაიჯანული მანათი - 1.8316; 1000 სომხური დრამი - 6.3381.
-----------	---

აქტიური 15 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარსი - ღამე +13, დღე +32
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +30
დასავლეთი საქართველო:
ბარსი - ღამე +16, დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +31
თბილისი: ღამე +18, დღე +31

დაგვიკავშირდით, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge